



# იმოქმედე, სანამ გაქვს შესაძლებლობა შეცვალო!

სახელმძღვანელო

გარემოზე ზემოქმედების მეორე  
პროექტებზე გადაწყვეტილების  
მიღებისას მოქალაქეთა ჩართვის  
შესაძლებლობების შესახებ

მწვანე ალტერნატივა, 2019

სახელმძღვანელო გამოცემულია მწვანე ალტერნატივას, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისთან თანამშრომლობით, მიმდინარე პროექტის ფარგლებში - „ადვოკატირება მინერალური რესურსების გამჭვირვალე და პასუხისმგებლიანი მართვისთვის“ და ღია საზოგადოების ფონდების ქსელის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „ენერჯეტიკის, წიაღით სარგებლობისა და ტრანსპორტის სექტორებში მმართველობის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში.

ანგარიშის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მწვანე ალტერნატივა და ის შესაძლოა არ გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის და ღია საზოგადოების ფონდების ქსელის შეხედულებებს.

ავტორი: ქეთი გუჯარაიძე  
© მწვანე ალტერნატივა, 2019

თბილისი, 0179,  
ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული  
ტელ.: 222 38 74

GREENALT@GREENALT.ORG  
WWW.GREENALT.ORG

# იბოქმედე, სანამ გაქვს შესაძლებლობა, შეცვალო!

სახელმძღვანელო გარემოზე ზემოქმედების მქონე პროექტებზე  
გადაწყვეტილების მიღებისას მოქალაქეთა ჩართვის  
შესაძლებლობების შესახებ

| გამოცემა

## სარჩევი

სახელმძღვანელოს შესახებ .....	3
თავი 1. როგორ მიიღება გადაწყვეტილებები პროექტების განხორციელების შესახებ? .....	4
თავი 2. სკრინინგი .....	7
თავი 3. სკოპინგი .....	13
თავი 4. გზმ ანგარიშის მომზადება და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება .....	23
თავი 5. რა ხდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შემდეგ? .....	32
თავი 6. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა .....	35
დანარების მიღება .....	40
დანართები .....	41
დანართი 1. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დანართები .....	41
დანართი 2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შინაარსი .....	46

## სახელმძღვანელოს შესახებ

2017 წლის 1 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო **გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი**. კოდექსმა ახლებურად დაარეგულირა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი საქმიანობების (პროექტების) შესახებ სახელმწიფო ორგანოთა მიერ გადაწყვეტილების მიღების წესები.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით შემოტანილ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სიახლედ განიხილება ასევე, ის, რომ კოდექსით, საქართველოს მოქალაქეებს დაუბრუნდათ **ამგვარი პროექტების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლების** რეალიზების შესაძლებლობა, რომელიც მათ ათი წლის წინ წაერთვათ. ეს შესაძლებლობა მოქალაქეებს წაერთვათ იმის და მიუხედავად, რომ ეს საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო შეთანხმებას ე.წ. ორჰუსის კონვენციას ეწინააღმდეგებოდა.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსმა დაადგინა მონაწილეობის უფლების რეალიზების კონკრეტული მექანიზმი. კერძოდ, **გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება** - საქმიანობის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი აქტი - ამჟამად, გაიცემა სამ ეტაპად და გადაწყვეტილების მიღების სამივე ეტაპზე - საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. ეს კი, კოდექსის თანახმად, ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე:

1. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, სამინისტრომ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახადოს კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციფიური ინფორმაცია;
2. სამინისტროს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, საზოგადოებას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, წარუდგინოს სამინისტროს თავისი მოსაზრებები;
3. სამინისტრო ვალდებულია განიხილოს საზოგადოების მიერ წარდგენილი მოსაზრებები და გაითვალისწინოს ისინი, გადაწყვეტილების მიღებისას;
4. სამინისტრო ვალდებულია, გამოაქვეყნოს მიღებული გადაწყვეტილებები და დასაბუთება.

გადაწყვეტილების მიღების ეს ახალი წესები 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა და უკვე ორი წელია გამოიყენება. გარდა იმისა, რომ ახალი პროცედურა მანამდე არსებულთან შედარებით, რთულია, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უკვე დაამკვიდრა მისი გამოყენების გარკვეული პრაქტიკა, რომელიც ყოველთვის კარგი არ არის; ეს კი, თავის მხრივ, ართულებს მოქალაქეთა მიერ ახალი პროცედურების გამოყენების შესაძლებლობას.

ამ სახელმძღვანელოს მომზადების მიზანია, დავეხმაროთ მოქალაქეებს საზოგადოების მონაწილეობის ახალი პროცედურების გაგებაში და მათ გამოყენებაში.

სახელმძღვანელოს პირველ თავში ზოგადად მიმოხილულია, თუ როგორ მიიღება გადაწყვეტილებები გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენის მქონე საქმიანობების შესახებ და რა ხდება გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ. მეორე, მესამე და მეოთხე თავებში დეტალურადაა ახსნილი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცედურის სამი ეტაპი: სკრინინგის გადაწყვეტილების მიღება, სკოპინგის დასკვნის მიღება და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება. ეს თავები მსგავსი სტრუქტურისაა და თითოეულში მოცემულია, ასევე, რჩევები მოქალაქეებისთვის, რომლებიც დაეხმარება მათ მონაწილეობის პროცედურების უკეთ გაგებასა და გამოყენებაში. მეხუთე თავში აღწერილია, თუ რა მოყვება გადაწყვეტილების მიღებას; მეექვსე თავში კი, მოცემულია მითითებები საჯარო ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებით. სახელმძღვანელოს დასასრულს მოცემულია ინფორმაცია მოქალაქეთა დახმარების შესაძლებლობების შესახებ.


## თავი 1. როგორ მიიღება გადაწყვეტილებები პროექტების განხორციელების შესახებ?

სახელმწიფოები, მათ შორის, საქართველო, როგორც წესი, თავისი კანონმდებლობებით, არეგულირებენ საქმიანობებს, რომლებიც ხასიათდებიან ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით, მოიცავენ განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, ან დაკავშირებული არიან სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან. რეგულირება სხვადასხვა გზით ხდება; ერთ-ერთი გზა ასეთი საქმიანობების წარმოებისთვის ზოგადსაავალდებულო წესების შემოღება; სხვა გზა საქმიანობის (პროექტის) დასაწყებად სპეციალური ნებართვებისა და ლიცენზიების შემოღება. საქმიანობის უფლების მიღების მსურველი და ასევე, ამ უფლების მიმნიჭებელი სახელმწიფო ორგანოები, ასეთ შემთხვევაში, ვალდებული ხდებიან წინასწარ შეაფასონ საქმიანობის აუცილებლობა, საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და აღმოფხვრან ან/და შეარბილონ ისინი. სწორედ ასეთი მექანიზმის შემოღებას ითვალისწინებს 2017 წლის 1 ივნისს მიღებული **გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი**.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსმა დაადგინა, რომ სახელმწიფო ან კერძო საქმიანობა, რომლის განხორციელებამ შესაძლოა **მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე** არ შეიძლება დაიწყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომში - გშმ) ჩატარებისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე. კოდექსი, ასევე, ადგენს, რომ სამინისტრომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სამ ეტაპად, საზოგადოების მონაწილეობით და ადგენს მონაწილეობის უზრუნველყოფის წესებს. ქვემოთ მოცემული დიაგრამა #1 აჩვენებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების ეტაპებს და ამ ეტაპებზე საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობებს. თითოეული ეტაპი დეტალურადაა ახსნილი ამ სახელმძღვანელოს მომდევნო თავებში.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, **პირველი ეტაპია სკრინინგი**. სკრინინგის ეტაპზე, სამინისტრო, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარდგენილი პირველადი ინფორმაციის (სკრინინგის განცხადების) საფუძველზე, წყვეტს, საჭიროა, თუ არა დეტალური კვლევის (ანუ გშმ-ს) ჩატარება - იღებს სკრინინგის გადაწყვეტილებას.

სკრინინგის ეტაპი, შეიძლება, მივამსგავსოთ პაციენტის ექიმთან საწყის კონსულტაციას: პაციენტი ექიმს უყვება სიმპტომებს, ექიმი კი, პაციენტის მონათხრობის მიხედვით, წყვეტს, ამავე კონსულტაციაზე დაასრულოს პაციენტთან ურთიერთობა (ვინაიდან მის ჯანმრთელობას არაფერი ემუქრება), თუ გააგრძელოს შემდგომი კვლევები. თუ მხოლოდ გამოკითხვით შეუძლებელია დარწმუნებით დადგინდეს მკურნალობის საჭიროება, ექიმი გადადის პროტოკოლით განსაზღვრულ შემდეგ ეტაპზე - ნიშნავს შემდგომ კვლევებს.



დიაგრამა #1. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის პროცედურა

**მეორე ეტაპია სკოპინგი.** ამ ეტაპზე, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე (სკოპინგის განცხადება), კომპეტენტური სახელმწიფო ორგანო ადგენს, რა სახის ინფორმაცია და რა მეთოდების გამოყენებით უნდა შეაგროვოს და გააანალიზოს პროექტის განმახორციელებელმა იმისათვის, რომ სახელმწიფო ორგანომ, საბოლოოდ, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება დაგეგმილი პროექტის შესახებ. შესაგროვებელი ინფორმაცია დამოკიდებულია დაგეგმილი საქმიანობის ხასიათზე, მასშტაბზე, ადგილზე და სხვა არაერთ ფაქტორზე.

სკოპინგის ეტაპიც, შესაძლებელია, შედარდეს პაციენტისა და ექიმის ურთიერთობას: თუ კი პირველ ეტაპზე ექიმმა გადაწყვიტა, რომ საჭიროა პაციენტს ჩაუტარდეს კვლევები, ახლა მან უნდა დაადგინოს, რა სახის ინფორმაცია სჭირდება მას საბოლოო დიაგნოზის დასასმელად და მკურნალობის მეთოდების შესარჩევად. ამისათვის, ექიმი პაციენტს სთხოვს სხვადასხვა სახის ანალიზის ჩატარებას და ექიმისთვის მიწოდებას. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სავარაუდო დაავადების კლინიკური ნიშნებიდან, პაციენტის ჩივილებიდან და გარე ფაქტორებიდან (მაგ., პაციენტის საცხოვრებელი და სამუშაო გარემო პირობები), ასევე, პაციენტის ფინანსური და კლინიკის ტექნოლოგიური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ექიმი არჩევს აუცილებლად დასადგენი მონაცემების ჩამონათვალს (მაგ., სისხლის საერთო ანალიზი, რენტგენი, ექოსკოპია და ა.შ.).

**მესამეა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების ეტაპი.** ამ, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე, სამინისტრო, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ ჩატარებული გზმ კვლევის საფუძველზე (რომლებიც სკოპინგის ეტაპზე დადგენილი მეთოდებით განხორციელდა), იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას დაგეგმილი პროექტის შესახებ - აძლევს უფლებას საქმიანობის განმახორციელებელს, გარკვეული პირობების დაცვით,

დაიწყოს დაგეგმილი პროექტი ან ირჩევს უმოქმედობის ალტერნატივას და არ თვლის პროექტის განხორციელებას მიზანშეწონილად.

კვლავ პაციენტისა და ექიმის მაგალითზე: პაციენტის მონაცემების ანალიზისა და დაკვირვების შედეგად, ექიმი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას მკურნალობის მეთოდის შესახებ. ეს გადაწყვეტილება უნიკალურია ყოველი პაციენტის შემთხვევაში, რაც ნიშნავს, რომ ერთი პაციენტისთვის მიღებული კვლევების შედეგები ვერ იქნება წარმატებით გამოყენებული სხვა პაციენტის მიმართ. მკურნალობის ადეკვატური მეთოდის შერჩევის შემდგომ იწყება პაციენტის მკურნალობა (ინიშნება ქირურგიული ოპერაცია ან/და მედიკამენტოზური მკურნალობა, განისაზღვრება მედიკამენტების სახეობები და დოზები) ან კვლევებით დგინდება, რომ პაციენტი არ საჭიროებს მკურნალობას და ქირურგიული ჩარევის ან მედიკამენტებით მკურნალობის გარეშე, უკეთ განაგრძობს ცხოვრებას.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შემთხვევაში, იწყება ახალი ეტაპი, რომელსაც „**მონიტორინგი და კონტროლი**“ ეწოდება. ეს ეტაპი იწყება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შემდეგ; ანუ მაშინ, როდესაც საქმიანობის განმანხორციელებელი რეალურად იწყებს დაგეგმილ, ნებადართულ საქმიანობას. ყურადსაღებია, რომ თუ წინა ეტაპები ვარაუდებსა და წინასწარ პროგნოზებზე იყო დამყარებული, ამ ეტაპზე უნდა შემოწმდეს სწორი იყო, თუ არა წინა ეტაპებზე გაკეთებული დაშვებები, პროგნოზები და თუ ეს ასეა - ტარდება, თუ არა საქმიანობით გამოწვეული გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებელი ღონისძიებები.

პაციენტსა და ექიმს შორის ურთიერთობაშიც დგება დრო, როდესაც ექიმი, მკურნალობის დაწყების შემდეგ, აკვირდება პაციენტს, პერიოდულად ამოწმებს მკურნალობის პროგრესს, სისწორეს და ახდენს მკურნალობის მიდგომის კორექტირებას, თუ არსებობს ამის საჭიროება. მაგალითად, სიცხის დასაწევად უნიშნავს მედიკამენტს და ავალებს, რომ პერიოდულად გაიზომოს სიცხე (ტემპერატურის მონიტორინგი). სიცხის გაზომვის საფუძველზე ექიმი იღებს გადაწყვეტილებას, გაზარდოს ან შეამციროს მედიკამენტის დოზა, შეცვალოს მედიკამენტი ან შეწყვიტოს.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, გადაწყვეტილების მიღების სამივე ეტაპზე, განმცხადებელს შეიძლება უარი ეთქვას საქმიანობის განხორციელებაზე. უარის თქმის საფუძვლები ახსნილია მომდევნო თავებში. დიაგრამიდან, ასევე, ჩანს, რომ სკრინინგის, სკოპინგისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების ეტაპებზე სამინისტრო ვალდებულია, უზრუნველყოს საზოგადოების მონაწილეობა. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები, ასევე, აღწერილია მომდევნო თავებში.

## თავი 2. სკრინინგი

ტერმინი „სკრინინგი“ ინგლისური სიტყვა „screening“-იდან მოდის და პირდაპირი მნიშვნელობით, გაცხრილვას, გადარჩევას, დახარისხებას, გაცრას ნიშნავს. ვინაიდან ქართველ პრაქტიკოსებს შორის, ეს ეტაპი მისი აღმნიშვნელი ინგლისური შესატყვისით დამკვირდა, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ტერმინ „სკრინინგს“ იყენებს.

**გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი** სკრინინგის ეტაპს ასე განსაზღვრავს: **პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გზმ-ს ჩატარების საჭიროებას.** ეს, სხვა სიტყვებით, ნიშნავს, რომ:

- ყველა სახის დაგეგმილ პროექტს არ უტარდება გზმ;
- პროექტები უნდა დახარისხდეს: ზოგიერთს - უტარდება გზმ და ზოგს კი - არა;
- გზმ-ს ჩატარების საჭიროება უნდა გადაწყდეს კოდექსით დადგენილი წესების გამოყენებით.

რას ამბობს კოდექსი? როგორ უნდა გადაწყვიტოს საქმიანობის განმახორციელებელმა ან სამინისტრომ, აუცილებელია, თუ არა ამა თუ იმ პროექტისთვის გზმ-ს ჩატარება? ამისათვის, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ადგენს შემდეგ წესებს (სკრინინგის პროცედურებს):

კოდექსს აქვს **ორი დანართი** საქმიანობების ჩამონათვალით. **პირველ დანართში** ჩამოთვლილია საქმიანობები, რომელთაც **აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს გზმ** (გზმ-ს ჩატარება სავალდებულოა). აქ მოქცეულია ისეთი საქმიანობები, რომელთაც შესაძლოა მოჰყვეს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა ბუნებრივ გარემოსა და მოსახლეობაზე, სადაც არ უნდა განხორციელდეს ის - თბილისში, სვანეთში, კახეთში; მთაში თუ ბარში... მაგალითად, კოდექსის პირველ დანართში გვხვდება შემდეგი საქმიანობები: ნავთობის გადამუშავება, ფოლადის წარმოება, 10 მეგავატი ან მეტი სიმძლავრის თბოელექტროსადგურის მშენებლობა, ფარმაცევტული საშუალებების წარმოება და სხვა (საქმიანობათა სრული სიისთვის იხილეთ ამ სახელმძღვანელოს დანართი 1).

კოდექსის **მეორე დანართში** ჩამოთვლილია საქმიანობები, რომელთაც ზოგჯერ შეიძლება ჩაუტარდეს გზმ, ზოგჯერ კი - არა. ეს დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე. ამ ფაქტორებზე მსჯელობით, სამინისტრომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, საჭიროა, თუ არა გზმ-ს ჩატარება. კოდექსის მეორე დანართში ნახსენებია, მაგალითად, შემდეგი პროექტები: სამელიორაციო სისტემის მოწყობა, 2-დან 5 მეგავატამდე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, ასფალტისა და ცემენტის წარმოება, აეროდრომის მოწყობა და სხვა (საქმიანობათა სრული სიისთვის იხილეთ ამ სახელმძღვანელოს დანართი 1).

კოდექსი, ფაქტობრივად, სამინისტროს ანიჭებს უფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს, საჭიროა, თუ არა მეორე დანართში მოქცეული პროექტებისთვის გზმ-ს ჩატარება; მაგრამ აქვე, ყურადსაღებია, რომ ეს უფლება შეუზღუდავი არაა. კოდექსი სამინისტროს უდგენს ერთგვარ საკონტროლო საკითხებს, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სამინისტრომ გზმ-ს ჩატარება-არ ჩატარებაზე გადაწყვეტილების მიღებისას. ამ ე.წ. საკონტროლო საკითხებს „სკრინინგის კრიტერიუმებსაც“ უწოდებენ და ისინი მოცემულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტში (იხ. ჩანართი #1). გარდა ამისა, კოდექსის თანახმად, სამინისტრომ უნდა დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება. ეს კი, ნიშნავს, რომ დაუსაბუთებელი ან არასათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილება შეიძლება გაასაჩივროს როგორც დაინტერესებულმა პირმა, ისე საქმიანობის განმახორციელებელმა.

კოდექსის II დანართში მოქცეული საქმიანობების გარდა, სკრინინგის პროცედურა უნდა გაიარონ **კოდექსის I დანართში მოქცეულმა უკვანებადართულმა პროექტებმაც** (მაგ., არა დაგეგმილმა, არამედ უკვე ექსპლუატაციაში მყოფმა საწარმომ), ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ მათში შედის შემდეგი სახის ცვლილებები: (ა) საწარმოო ტექნოლოგია იცვლება განსხვავებული ტექნოლოგიით; ან/და (ბ) იცვლება ექსპლუატაციის პირობები, მათ შორის, იზრდება წარმადობა.

**როგორ მიიღება სკრინინგის გადაწყვეტილება?**

იმისათვის, რომ სამინისტრომ მიიღოს გადაწყვეტილება გზშ-ს ჩატარების საჭიროების შესახებ (ანუ სკრინინგის გადაწყვეტილება), მას უნდა ჰქონდეს საწყისი ინფორმაცია დაგეგმილი პროექტის შესახებ. სწორედ ამიტომ კოდექსი ავალდებულებს საქმიანობის განმახორციელებელს, „საქმიანობის დაგეგმვის შეძლებისდაგვარად აღრუელ ეტაპზე“, სამინისტროს წარუდგინოს დაგეგმილი საქმიანობის **სკრინინგის განცხადება**.

კოდექსი ადგენს, რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს სკრინინგის განცხადება; კერძოდ, ის უნდა მოიცავდეს:

- მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;
- დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლებს;
- ინფორმაციას განხორციელების ადგილის შესახებ;
- ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ;
- განმცხადებლის შესახებ ინფორმაციას (ვინაობა, მისამართი და სხვ.).

სამინისტრო ვალდებულია, განიხილოს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარდგენილი განცხადება და სკრინინგის კრიტერიუმების საფუძველზე, მიიღოს **სკრინინგის გადაწყვეტილება** განცხადების სამინისტროში რეგისტრაციიდან **არაუადრეს 10 დღისა და არაუგვიანეს 15 დღისა**.

**ჩანართი # 1. სკრინინგის კრიტერიუმები (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი)**

კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზე, სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას - ექვემდებარება, თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს:

**ა) საქმიანობის მახასიათებლები:**

- ა.ა) საქმიანობის მასშტაბი;
- ა.ბ) არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება;
- ა.გ) ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;
- ა.დ) ნარჩენების წარმოქმნა;
- ა.ე) გარემოს დაბინძურება და ხმაური;
- ა.ვ) საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი;

**ბ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:**

- ბ.ა) ჭარბტენიან ტერიტორიასთან;
- ბ.ბ) შავი ზღვის სანაპირო ზოლთან;
- ბ.გ) ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები;
- ბ.დ) დაცულ ტერიტორიებთან;
- ბ.ე) მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან;
- ბ.ვ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან;

**გ) საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი:**

- გ.ა) ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;
- გ.ბ) ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა.

სკრინინგის გადაწყვეტილება შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ სამგვარი. სკრინინგის გადაწყვეტილებით შეიძლება დადგინდეს, რომ:

- (1) **დაგეგმილი საქმიანობა ექვემდებარება გზმ-ს;**  
ასეთი გადაწყვეტილების შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებელს შეუძლია გააგრძელოს პროექტის დაგეგმვა, საპროექტო დოკუმენტაციაზე მუშაობა და გადავიდეს მომდევნო - სკოპინგის - ეტაპზე.
- (2) **დაგეგმილი საქმიანობა არ ექვემდებარება გზმ-ს;**  
ასეთ შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებელი, მართალია, გზმ-ს არ ჩაატარებს, მაგრამ მას მაინც ევალება საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის სხვა მოთხოვნების შესრულება (მაგალითად, „ატმოსფერული ჰაერის შესახებ“, „წყლის შესახებ“, „ნარჩენების შესახებ“ კანონებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების შესრულება).
- (3) **დაგეგმილი საქმიანობა არ შეიძლება განხორციელდეს.**  
სამინისტრომ ამ, საწყის ეტაპზე შეიძლება დაადგინოს, რომ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება დაუშვებელია და უარი უთხრას საქმიანობის განხორციელების მსურველს, კოდექსით (მე-14 მუხლით) დადგენილ შემდეგ გარემოებათა გამო:
  - (ა) საქმიანობა ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან სასამართლოს/არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას;
  - (ბ) დგინდება გარემოზე ზემოქმედების ხასიათის და მოცულობის მიუღებლობა, გარემოზე ზემოქმედების რისკის პრევენციის შეუძლებლობა ან/და გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შეუძლებლობა.

**როგორ შეგვიძლია მივიღოთ მონაწილეობა სამინისტროს მიერ სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების პროცესში?**

სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, სამინისტრო, ვალდებულია, რომ ჯერ **გაავრცელოს ინფორმაცია** დაგეგმილი საქმიანობის შესახებ; შემდეგ - **მიიღოს საზოგადოების მოსაზრებები**; სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებისას **გაითვალისწინოს** ისინი და ბოლოს, **გამოაქვეყნოს სკრინინგის გადაწყვეტილება და მისი დასაბუთება.**

ქვემოთ უფრო დეტალურადაა აღწერილი ეს პროცესი, ვადებით, როგორც ეს დადგენილია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით. სკრინინგის ეტაპზე საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის პროცედურები, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით, შემდეგია:

- სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან **3 დღის ვადაში**, სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს განცხადების **თავის ოფიციალურ ვებგვერდზე** და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს **საინფორმაციო დაფაზე** განთავსება; მოთხოვნის შემთხვევაში, სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს მისი ნაბეჭდი ეგზემპლარის ხელმისაწვდომობაც.
- საზოგადოებას უფლება აქვს, სკრინინგის განცხადების ვებგვერდსა და საინფორმაციო დაფაზე განთავსებიდან **7 დღის ვადაში**, **წარუდგინოს სამინისტროს მოსაზრებები და შენიშვნები** ამ განცხადებასთან დაკავშირებით.
- სამინისტრომ **უნდა განიხილოს** საზოგადოების მიერ წარდგენილი მოსაზრებები და შენიშვნები „და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში“, **მხედველობაში მიიღოს** ისინი სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებისას.

სკრინინგის პროცედურის დასრულებიდან **5 დღის ვადაში, სამინისტრომ უნდა გამოაქვეყნოს „დასაბუთებული სკრინინგის გადაწყვეტილება“** იმავე გზით, რა გზითაც საწყისად გამოაქვეყნა განცხადება: თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე. ამ მოთხოვნის შემთხვევაში, სამინისტრომ ნაბეჭდი ეგზემპლარის ხელმისაწვდომობაც უნდა უზრუნველყოს.

ყურადსაღებია, რომ სამინისტროს მიერ მიღებული სკრინინგის გადაწყვეტილება (ისევე როგორც მომდევნო ეტაპების გადაწყვეტილებები) შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის ორგანოებში (ზემდგომ აღმინისტრაციულ ორგანოში, სასამართლოში), მაგალითად, თუ მოქალაქე თვლის, რომ დაირღვა სკრინინგის პროცედურული მოთხოვნები.

### **რატომ უნდა მივიღოთ მონაწილეობა სამინისტროს მიერ სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების პროცესში?**

სკრინინგის ეტაპი, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, პროექტის დაგეგმვის ადრეული ეტაპია. საქმიანობის განმახორციელებელი, ინჟინრებისა და კონსულტანტების დახმარებით, სწორედ ამ დროს საზღვრავს თავისი პროექტის ძირითად მახასიათებლებს - პროექტის სავარაუდო ადგილმდებარეობას, წარმადობას და სხვა დეტალებს. ამდენად, პროექტის განმახორციელებლისთვის მნიშვნელოვანია, რომ ამ ეტაპზე გაიგოს პოტენციური პრობლემების შესახებ. სწორედ, ამის გამო მიმართავს ის სამინისტროს სკრინინგის გადაწყვეტილებისთვის.

მეორე მხრივ, მოქალაქეებისთვის, ადგილობრივი თემებისთვის და ზოგადად, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია, რომ რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე გაიგონ, რა იგეგმება მათ სიახლოვეს ან/და ხომ არ არსებობს ბუნებრივ გარემოსა და ადამიანებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის საფრთხე. მოქალაქეები უნდა იყვნენ ინფორმირებული ამის შესახებ და ასევე, მათ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, დასვან კითხვები და გამოთქვან მოსაზრება დაგეგმილი პროექტის შესახებ. სწორედ, ამის გამო, სამინისტრო ვალდებულია, გამოაქვეყნოს სკრინინგის განცხადება და მიიღოს საზოგადოების მოსაზრებები დაგეგმილი პროექტის შესახებ.

სკრინინგის ეტაპზე საზოგადოების მონაწილეობას შემდეგი ორი უმნიშვნელოვანესი სარგებელი აქვს:

- საზოგადოების მოსაზრებების გათვალისწინებით, შესაძლებელი ხდება დაგეგმილი პროექტის ცვლილება ადრეულ ეტაპზე იმგვარად, რომ თავიდან იქნეს აცილებული გარემოსა და მოსახლეობაზე მავნე ზეგავლენა;
- საზოგადოების მოსაზრებების წინასწარ გაგებით და პროექტების მოდიფიცირებით, შესაძლებელი ხდება მოგვიანებით, პროექტის განხორციელებისას, შესაძლო ძვირადღირებული კონფლიქტების თავიდან აცილება.

მიუხედავად იმისა, რომ აღიარებულია სკრინინგის ეტაპისა და ამ ეტაპზე საზოგადოების მონაწილეობის სარგებლიანობა, არსებობენ კრიტიკოსებიც, რომლებიც თვლიან, რომ ეს ეტაპი პრობლემებს უქმნის პროექტებს. ისინი ამტკიცებენ, რომ სკრინინგის ეტაპის გავლა მოითხოვს რესურსებს (დროს, თანხას, ექსპერტიზას) და ასევე, ანელებს პროექტის შემუშავებისა და დამტკიცების პროცესს, ხელს უწყობს რა დებატებს პროექტზე (რისიც ხშირად ეძინიათ პროექტების განმახორციელებლებს).

მსოფლიოში, ეს ეტაპი ყველაზე ხშირად ხდება დავის საგანი, სკრინინგის სადავო პრაქტიკისა და გადაწყვეტილებების გამო. ხშირია შემთხვევები, როდესაც პროექტების განმახორციელებლები ცდილობენ, თავიდან აირიდონ გზშ-ს ჩატარება და ამისათვის, სახელმწიფო მოხელეთა მოსყიდვასაც არ ერიდებიან. პროექტების, განსაკუთრებით, მსხვილმასშტაბიანი და ხაზობრივი პროექტების (მაგ., გზის, რკინიგზის, მილსადენის) განმახორციელებლები, ძალზე ხშირად, მიმართავენ ასევე ხრიკს, რომელიც „Salami slicing“-ის სახელითაა ცნობილი: პროექტის დაყოფა მცირე პროექტებად და ამ ცალკეული მცირე „პროექტებისთვის“ ნებართვების მოპოვება სახელმწიფო ორგანოებისგან. მცირე ნაწილებად პროექტის დაყოფის მიზანია, გზშ-ს ჩატარების ვალდებულებისა და საზოგადოებასთან კონსულტაციის არიდება. ამდენად, „Salami slicing“-ის თავიდან ასაცილებლად, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სკრინინგის ეტაპზე საზოგადოება იყოს ადეკვატურად ინფორმირებული და ასევე, საზოგადოებას მიეცეს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

### საყურადღებო საკითხები კანონმდებლობიდან და პრაქტიკული რჩევები

- ⊗ ზემოთ ნახსენები (და #1 ჩანართში მოყვანილი) **სკრინინგის კრიტერიუმები** დადგენილია იმისათვის, რომ ამ კრიტერიუმებით იხელმძღვანელონ საქმიანობის განმახორციელებელმა სკრინინგის განცხადების შედგენისას და სამინისტრომ - გადაწყვეტილების მიღებისას. სკრინინგის კრიტერიუმებით შეიძლება, ასევე, ისარგებლოს დაინტერესებულმა საზოგადოებამ და შეამოწმოს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი ინფორმაციის სისრულე.

პრაქტიკაში, არც თუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც განცხადებები არასრულფასოვანია, არ იძლევა საკმარის ინფორმაციას გადაწყვეტილების მისაღებად. ასეთ შემთხვევაში, მოქალაქეს, რა თქმა უნდა, აქვს უფლება, მიუთითოს სამინისტროს, განცხადების ნაკლოვანების შესახებ. გარდა ამისა, თუ სამინისტრო არ იხელმძღვანელებს კანონის მოთხოვნებით (სკრინინგის კრიტერიუმებით) და საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარდგენილი არასრულფასოვანი ინფორმაციის საფუძველზე მიიღებს სკრინინგის გადაწყვეტილებას, მოქალაქეს, ამის გამო, შეუძლია გაასაჩივროს სამინისტროს გადაწყვეტილება.

- ⊗ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი აძლევს საქმიანობის განმახორციელებელს უფლებას, რომ თავად განსაზღვროს, აუცილებელია, თუ არა მის მიერ დაგეგმილი საქმიანობისთვის გზშ-ს ჩატარება. თუ ჩათვლის, რომ საჭიროა, მაშინ მას **შეუძლია აღარ გაიაროს სკრინინგის ეტაპი და პირდაპირ მომდევნო, სკოპინგის ეტაპზე გადავიდეს** (მიმართოს სამინისტროს მეორე ეტაპის - სკოპინგის დასკვნის მისაღებად).

პრაქტიკაში, ასეთი შემთხვევების რაოდენობა, სავარაუდოდ, მცირე იქნება, რადგან შეცდომების თავიდან აცილებისა და თავის დაზღვევის მიზნით, პროექტების განმახორციელებლები მაინც შეეცდებიან, მოიპოვონ ოფიციალური დასტური ან უარყოფა გზშ-ს ჩატარების საჭიროებაზე.

- ⊗ სკრინინგის ეტაპის გამოტოვების გარდა, კოდექსი, ასევე, იძლევა **სკრინინგისა და სკოპინგის ეტაპების კომბინირების შესაძლებლობას**. პროექტის განმახორციელებელს უფლება აქვს, სკრინინგისა და სკოპინგის გაერთიანებული განცხადებით მიმართოს სამინისტროს. სამინისტროს კი, ასეთ შემთხვევაში, შეუძლია, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ (თუ საქმიანობა ექვემდებარება გზშ-ს), პირდაპირ დაიწყოს სკოპინგის ადმინისტრაციული პროცედურა.
- ⊗ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების პრაქტიკაზე ჩვენმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ სამინისტრო, ხშირად, არ იცავს განცხადებების გამოქვეყნების წესებს, მათ შორის, ვადებს. დარღვევებზე

მითითებისას, შესაძლოა, სამინისტროს წარმომადგენლებმა თავი იმართლონ იმით, თითქოს გამოქვეყნების წესების დაუცველობა შესაბამისი მუნიციპალიტეტის ორგანოების ბრალია.

სინამდვილეში, ეს ასე არაა: განცხადებების (და თანდართული დოკუმენტების) საზოგადოებისთვის გასაცნობად **გამოქვეყნება სამინისტროს პირდაპირი ვალდებულებაა**. სამინისტრომ, განცხადების თავის ვებგვერდზე გამოქვეყნების გარდა, უნდა უზრუნველყოს განცხადების შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებაც. როგორც წესი, სამინისტროს წარმომადგენლები ამას არ აკეთებენ და განცხადების გამოკვრას ადგილობრივ აღმასრულებელ ან/და წარმომადგენლობითი ორგანოებს ანდობენ; ისინი კი, ვინაიდან ეს მათი ვალდებულება არ არის, სხვადასხვაგვარად ან საერთოდ არ ასრულებენ სამინისტროს თხოვნას.

**გაითვალისწინეთ**, რომ პასუხისმგებლობა ინფორმაციის გამოქვეყნებაზე მთლიანად აკისრია სამინისტროს. მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ განცხადებების გამოქვეყნება მხოლოდ და მხოლოდ დამკვიდრებული არაფორმალური, არასავალდებულო პრაქტიკაა.

**გაითვალისწინეთ**, რომ განცხადებების გამოქვეყნების წესების დარღვევა, მათ შორის, ვადების დაუცველობა ან განცხადების გამოუქვეყნებლობა, შეიძლება სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების საფუძველი გახდეს.

- ⊗ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ამბობს, რომ სამინისტრომ ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილებები. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში, გადაწყვეტილებები, ხშირად, არ არის დასაბუთებული.

**გაითვალისწინეთ:** თუ ფიქრობთ, რომ გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული ან არასათანადოა დასაბუთებული, თქვენ გაქვთ უფლება, მოთხოვოთ სამინისტროს გადაწყვეტილების დასაბუთება; გარდა ამისა, თქვენ შეგიძლიათ გაასაჩივროთ გადაწყვეტილება ამ საფუძველით.

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განიხილოს საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები და შენიშვნები და კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი გადაწყვეტილების წერილობით დასაბუთებაში სათანადოდ ასახოს საზოგადოების მონაწილეობის შედეგები.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, მე-5 მუხლი.

## თავი 3. სკოპინგი

ტერმინი „სკოპინგი“ (scoping), ისევე როგორც „სკრინინგი“, ინგლისური ენიდან დამკვირდა ქართულში. „სკოპინგი“, პირდაპირი მნიშვნელობით, რაიმეს ფარგლების, მასშტაბის დადგენას, მიმოხილვას ნიშნავს. გზმ-ს პროცედურებში კი, „სკოპინგი“ ეწოდება სკრინინგის მომდევნო ეტაპს და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, ეს არის: **პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გზმ-ისთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და ამ ინფორმაციის გზმ-ის ანგარიშში ასახვის საშუალებებს.**

თუ კი საწყის ეტაპზე, **პროექტის განმახორციელებელი** დარწმუნდა გზმ-ს ჩატარების აუცილებლობაში, ამ ეტაპზე, პროექტის განმახორციელებლის ამოცანაა, დეტალური კვლევის (გზმ-ს) ჩატარებამდე, წინასწარ განსაზღვროს კვლევის ფარგლები: დაადგინოს, რა საკითხები (რა სახის ზეგავლენა) უნდა შეისწავლოს და რა მეთოდებით. დაგეგმილი პროექტის ყველა შესაძლო ასპექტის პროგნოზი არც შესაძლებელია და არც სასარგებლო. ამდენად, ეს ეტაპი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია პროექტის განმახორციელებლისთვის.

ამ ეტაპზე **სამინისტროს** მიზანია, ერთი მხრივ, დაეხმაროს საქმიანობის განმახორციელებელს შესასწავლი საკითხების იდენტიფიცირებაში; მეორე მხრივ კი, გაიიოლოს პროექტის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესი - როდესაც მან, გზმ ანგარიშის საფუძველზე, უნდა მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება - გასცეს, თუ არ გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება დაგეგმილ საქმიანობაზე და თუ გასცეს, რა პირობებით.

ისევე როგორც სკრინინგის ეტაპზე, ამ ეტაპზეც, სამინისტრო ვალდებულია, უზრუნველყოს **საზოგადოების მონაწილეობა** გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საზოგადოებას, ამ ეტაპზეც - როდესაც უფრო მეტი რამ ხდება ცნობილი დაგეგმილი პროექტის შესახებ - უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გამოთქვას თავისი მოსაზრებები პრობლემური საკითხების შესახებ. სამინისტრო კი, ვალდებულია გაითვალისწინოს (მხედველობაში მიიღოს) ეს მოსაზრებები სკოპინგის ეტაპის გადაწყვეტილების მიღებისას.

### როგორ მიიღება სკოპინგის ეტაპზე გადაწყვეტილება?

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით, სკოპინგის ეტაპი ასე გამოიყურება:

- **საქმიანობის განმახორციელებელი**, „საქმიანობის დაგეგმვის შედეგებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე“, აგროვებს და აანალიზებს კოდექსით მოთხოვნილ ინფორმაციას და აყალიბებს **სკოპინგის ანგარიშის** სახით. ეს, მას, შეუძლია გააკეთოს თავად, ან დაიქირავოს კონსულტანტი;
- საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის განცხადებას და **სკოპინგის ანგარიშს წარუდგენს სამინისტროს;**
- სამინისტრო განიხილავს ანგარიშს და **იღებს გადაწყვეტილებას - სკოპინგის დასკვნას;**

- სკოპინგის დასკვნის გაცემამდე, სამინისტრო, კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით, უზრუნველყოფს **საზოგადოების მონაწილეობას** გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- დასასრულს, **სამინისტრო აქვეყნებს** სკოპინგის დასკვნას, კვლავ, კოდექსით დადგენილი წესით.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი (მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი) ადგენს **მოთხოვნებს სკოპინგის ანგარიშისადმი**; კოდექსში ჩამოთვლილია საკითხები, რომლებიც განხილული უნდა იყოს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილ სკოპინგის ანგარიშში (იხ. ჩანართი #2).

ყურადსაღებია, რომ კოდექსით დადგენილი საკითხების ჩამონათვალი, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, პროექტის განმახორციელებელმა უნდა გამოიყენოს სახელმძღვანელოდ; თუმცა, ის სასარგებლოა, ასევე, სამინისტროსთვის და დაინტერესებული საზოგადოებისთვისაც - სკოპინგის ანგარიშის სისრულის შესამოწმებლად.

მას შემდეგ, რაც საქმიანობის განმახორციელებელი წარადგენს სკოპინგის განცხადებას და ანგარიშს სამინისტროში, სამინისტრო არეგისტრირებს განცხადებას და იწყებს ადმინისტრაციულ წარმოებას გადაწყვეტილების მისაღებად, რომელსაც **სკოპინგის დასკვნა** ეწოდება.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი სამინისტროს უდგენს სკოპინგის დასკვნის გაცემის წესს; კერძოდ, კოდექსი ადგენს:

- **სკოპინგის დასკვნის გაცემის ვადას** - სკოპინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა;
- **კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე** შესაბამის კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოსთან კონსულტაციის ჩატარების ვალდებულებას;

## ჩანართი #2. რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს სკოპინგის ანგარიში?

სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს:

დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერას, კერძოდ, ზოგად ინფორმაციას:

- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად);
- დაგეგმილი საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების (სიმძლავრე, მასშტაბი, საწარმოო პროცესი, შესაძლო საწარმოებელი პროდუქციის ოდენობა და სხვა) შესახებ;
- დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ;

ზოგად ინფორმაციას გარემოზე შესაძლო ზემოქმედების და მისი სახეების შესახებ, რომლებიც შესწავლილი იქნება გზშ-ის პროცესში, მათ შორის:

- ინფორმაციას დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ინფორმაციას შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით ადამიანის ჯანმრთელობაზე, სოციალურ გარემოზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ;

ინფორმაციას ჩასატარებელი საბაზისო/საძიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო მეთოდების შესახებ;

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად შედგენილ საბაზის დამუშავების გეგმას (მათ შორის, რეკულტივაციის პროექტს), საჭიროების შემთხვევაში;

ზოგად ინფორმაციას იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი

- **საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის** ვალდებულებას სკოპინგის დასკვნის გაცემისას.

### როგორ შეგვიძლია მივიღოთ მონაწილეობა სკოპინგის დასკვნის გაცემისას?

სკოპინგის დასკვნის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, ისევე როგორც სკრინინგის ეტაპზე, სამინისტრო, ვალდებულია, რომ **ჯერ გაავრცელოს ინფორმაცია** დაგეგმილი საქმიანობის შესახებ; შემდეგ - **მიიღოს საზოგადოების მოსაზრებები**; სკოპინგის დასკვნის გამოცემისას, **გაითვალისწინოს** ისინი და ბოლოს, **გამოაქვეყნოს სკოპინგის დასკვნა და მისი დასაბუთება**. სკრინინგისა და სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობები ძალზე ჰგავს ერთმანეთს; **განსხვავება მხოლოდ ვადებსა** (სკოპინგის ეტაპზე ვადა უფრო დიდია) და **მოსაზრებების მიღების საშუალებებშია** (ითვალისწინებს წერილობითი გარდა, მოსაზრებების ზეპირსიტყვიერად - საჯარო განხილვაზე გამოთქმის შესაძლებლობას).

ქვემოთ დეტალურადაა აღწერილი საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის პროცედურა, როგორც ეს დადგენილია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით.

- ისევე როგორც სკრინინგის განცხადების შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სკოპინგის განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში, სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს **სკოპინგის განცხადებისა და სკოპინგის ანგარიშის** თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსება; მოთხოვნის შემთხვევაში – მათი ნაბეჭდი ეგზემპლარების ან ელექტრონული ვერსიების ხელმისაწვდომობა;
- საზოგადოებას უფლება აქვს, **სკოპინგის განცხადების განთავსებიდან 15 დღის ვადაში**, სამინისტროს წარუდგინოს მოსაზრებები და შენიშვნები სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით, **როგორც წერილობით, ისე ზეპირსიტყვიერად - საჯარო განხილვაზე**, რომელიც სამინისტრომ ამავე ვადაში უნდა მოაწყოს;
- სკოპინგის ანგარიშის **საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია** სამინისტრომ უნდა **გამოაქვეყნოს** საჯარო განხილვის ჩატარებამდე **არაუგვიანეს 10 დღისა**; ქვემოთ მოცემულ ჩანართში #3 აღწერილია **სად და როგორ უნდა გამოქვეყნდეს ინფორმაცია** საჯარო განხილვის შესახებ, ასევე, როგორ უნდა წარიმართოს განხილვა და გაფორმდეს მისი შედეგები.
- სკოპინგის ანგარიშის **საჯარო განხილვა სამინისტრომ უნდა ჩაატაროს** სკოპინგის განცხადების განთავსებიდან **არაუადრეს მე-10 დღისა და არაუგვიანეს მე-15 დღისა**;
- კოდექსი იძლევა მითითებას, თუ **სად უნდა ჩატარდეს საჯარო განხილვა**. კერძოდ: თუ საქმიანობის განხორციელება იგეგმება **თვითმმართველი თემის** ადმინისტრაციულ საზღვრებში, განხილვა უნდა ჩატარდეს დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს შენობა-ნაგებობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე; ხოლო, თუ საქმიანობის განხორციელება იგეგმება **თვითმმართველი ქალაქის** ადმინისტრაციულ საზღვრებში, მაშინ განხილვა უნდა ჩატარდეს სამინისტროს მიერ განსაზღვრულ „სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს შენობა-ნაგებობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე“;
- **საჯარო განხილვა ჩატარების** ზოგად წესებს განსაზღვრავს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი; უფრო დეტალური წესები კი, დადგენილია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის #2-94 ბრძანებით. ჩანართში #3 მოცემულია ბრძანებით დამტკიცებული წესებიდან ამონარიდი, რომელთა ცოდნა, ჩვენი აზრით, სასარგებლო იქნება მოქალაქეებისთვის. გასათვალისწინებელია, რომ იგივე წესები უნდა იქნეს დაცული სკოპინგის მომდევნო ეტაპზე; ანუ სამინისტროს მიერ საბოლოო - გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას.

- **სამინისტრო ვალდებულია**, გადაწყვეტილების (სკოპინგის დასკვნის) წერილობით დასაბუთებაში, სათანადოდ ასახოს საზოგადოების მონაწილეობის შედეგები.

### **ჩანართი #3 საჯარო განხილვის ჩატარების წესი.**

#### **სამინისტროს ვალდებულებები**

- სამინისტრო ვალდებულია საზოგადოებას **დროული, ეფექტიანი და ადეკვატური საშუალებებით მიაწოდოს** ინფორმაცია ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და აღნიშნულ წარმოებაში საზოგადოების **მონაწილეობის შესაძლებლობის** შესახებ.
- სამინისტრო ვალდებულია უზრუნველყოს საზოგადოებისთვის კოდექსით გათვალისწინებული **დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა**.
- სამინისტრო ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო განხილვაში საზოგადოების **მონაწილეობა** და მის მიერ მოსაზრებებისა და შენიშვნების **წარდგენის შესაძლებლობა**.
- სამინისტრო ვალდებულია **მხედველობაში მიიღოს** საზოგადოების მიერ წერილობით წარდგენილი თუ საჯარო განხილვაზე გამოთქმული მოსაზრებები და შენიშვნები და მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.
- სამინისტრო ვალდებულია უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით **საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა**.
- სამინისტრო (სამინისტროს წარმომადგენელი) **პასუხისმგებელია საჯარო განხილვის ორგანიზებასა და ჩატარებაზე**.

#### **საზოგადოების უფლებები**

- საჯარო განხილვა ღიაა და მასში **მონაწილეობის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს**.
- საჯარო განხილვაზე შენიშვნების, წინადადებების, მოსაზრებების გამოთქმის და კითხვების დასმის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

#### **სად უნდა გამოქვეყნდეს ცნობა საჯარო განხილვის შესახებ?**

- სამინისტრო ვალდებულია, განათავსოს **ინფორმაცია (ცნობა) საჯარო განხილვის შესახებ** შემდეგ ადგილებზე:
  - სამინისტროსა და შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების **ვებგვერდებზე** და იმ **საინფორმაციო დაფაზე**, რომელიც ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის;
  - **გაზეთში**, რომელიც შესაძლო შემთხვევებისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ფართოდ არის გავრცელებული და ხელმისაწვდომია დაინტერესებული საზოგადოების უმრავლესობისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს **საინფორმაციო დაფაზე ან/და ვებგვერდზე**, აგრეთვე **ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილას** (ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი);
  - საქმიანობის განხორციელების **უახლოეს საჯარო ადგილას**.

#### **რა სახის ინფორმაციას უნდა მოიცავდეს ცნობა საჯარო განხილვის შესახებ?**

- საჯარო განხილვის ჩატარების დრო, ადგილი და წესი;
- განსახილველი საკითხის არსი და მოკლე აღწერა;
- ვინ არის გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო;
- ინფორმაცია გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობის შესახებ და სად არის ეს დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი: მონაცემები იმ ადგილისა და მისამართის შესახებ, სადაც შესაძლებელია დოკუმენტაციის გაცნობა; აგრეთვე, მითითება საჯარო განხილვის დროს აღნიშნული დოკუმენტების ნაბეჭდი ეგზემპლარების მიღების შესაძლებლობის შესახებ;
- საჯარო განხილვაზე დასწრების და მასზე მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობის თაობაზე;

- გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა მონაცემის შესახებ, რომელიც ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ეფექტიან მონაწილეობას.

### **საჯარო განხილვისას**

- საჯარო განხილვას **უნდა ესწრებოდნენ** საქმიანობის განმახორციელებელი (ან/და მის მიერ დაქირავებული კონსულტანტი) და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს წარმომადგენელი.
- საჯარო განხილვაზე სამინისტრომ მსურველებს უნდა მისცეს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის (მაგ., სკოპინგის ანგარიშის, გზმ ანგარიშის) **ნაბეჭდი ეგზემპლიარები**.
- საჯარო განხილვას უნდა **გაუძღვეს და ოქმი უნდა შეადგინოს** სამინისტროს წარმომადგენელმა. ოქმის სისწორეზე პასუხისმგებელია სამინისტრო.
- სამინისტროს წარმომადგენელმა უნდა უზრუნველყოს საჯარო განხილვაში **მონაწილე პირთა რეგისტრაცია**.
- სამინისტროს წარმომადგენელმა უნდა უზრუნველყოს საჯარო განხილვის **სხდომის აუდიო-ჩაწერა**, შესაძლებლობის შემთხვევაში კი - ვიდეო-გადაღება.
- საჯარო განხილვა უნდა წარიმართოს **ქართულ ენაზე** და **როგორც წესი**, არ უნდა გაგრძელდეს ერთ სამუშაო დღეზე მეტ ხანს.
- სამინისტროს წარმომადგენელს აქვს უფლება, **გააფრთხილოს წესრიგის დამრღვევი პირი**; განსაკუთრებულ შემთხვევაში კი - **გააძევოს** დარბაზიდან. განხილვა შეიძლება გაგრძელდეს გაძევებული პირის მონაწილეობის გარეშე.
- საჯარო განხილვა **ჩატარებულად ჩაითვლება** იმის მიუხედავად, დაესწრება, თუ არა მას საზოგადოების წარმომადგენელი.
- **ფორსმაჟორულ სიტუაციაში**, საჯარო განხილვის ჩატარების ან საჯარო განხილვის გაგრძელების შეუძლებლობის შემთხვევაში, სამინისტრო, ფორსმაჟორული სიტუაციის აღმოფხვრიდან არაუგვიანეს 5 დღისა უზრუნველყოფს საჯარო განხილვის შესახებ ცნობის განმეორებით გამოქვეყნებას.
- სამინისტროს წარმომადგენელმა (წარმომადგენლებმა), საჯარო განხილვის **სხდომის გახსნის შემდგომ**:
  - უნდა წარადგინონ საჯარო განხილვის **დღის წესრიგი**;
  - უნდა გამოაცხადონ საჯარო განხილვაზე **მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობის** შესახებ;
- სამინისტროს წარმომადგენელმა საჯარო განხილვის მონაწილეებს **უნდა გააცნოს დაგეგმილი საქმიანობა**; კერძოდ, მან მონაწილეებს უნდა მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:
  - დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა (მათ შორის, ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლის, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილისა და ფიზიკური მახასიათებლების შესახებ);
  - დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური პარამეტრები და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები;
  - დაგეგმილი საქმიანობისა და განხორციელების ადგილის ალტერნატივები;
  - ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედებისა და მისი სახეების შესახებ, რომელიც შესწავლილი უნდა იყოს გზმ-ის პროცესში;
  - ინფორმაცია ჩასატარებელი საბაზისო/საძიებო კვლევების შესახებ;
  - ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, შესამცირებლად ან/და შესარბილებლად.
- სამინისტროს წარმომადგენელი (წარმომადგენლები), საქმიანობის განმახორციელებელი ან/და მის მიერ დაქირავებული კონსულტანტი, **ვალდებული არიან**, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, **უპასუხონ** საჯარო განხილვაზე დასმულ კითხვებს.

### **საჯარო განხილვის ოქმი**

- სამინისტრო ვალდებულია, საჯარო განხილვის ჩატარებიდან 5 დღის ვადაში, შეადგინოს განხილვის ოქმი.
- ოქმს ხელს აწერს სამინისტროს წარმომადგენელი და ისევე პასუხისმგებელი ოქმის სისწორეზე.
- ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება, გაეცნოს ოქმს; გარდა ამისა, საჯარო განხილვაში მონაწილე ნებისმიერ პირს აქვს უფლება, მიუთითოს სამინისტროს ოქმში არასწორი ან არასრული ინფორმაციის არსებობაზე. ასეთ შემთხვევაში, საჯარო განხილვაში მონაწილე პირს აქვს უფლება, ოქმის გაცნობიდან 3 დღის ვადაში, წარადგინოს შენიშვნები ოქმზე. თუ სამინისტრო დაეთანხმება შენიშვნას, მაშინ ის დაადასტურებს მის სისწორეს; თუ არ დაეთანხმება - უარყოფს

შენიშვნას და გამოსცემს ამაზე სამართლებრივ აქტს. თუ ვინმე არ ეთანხმება ამ აქტს, ის შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში.

- საჯარო განხილვის ოქმს თან უნდა ერთოდეს ცხრილი, სადაც ასახული უნდა იყოს საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები და მათი გათვალისწინების მდგომარეობა (რა იქნა გათვალისწინებული, რა - არა და რატომ).

წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის #2-94 ბრძანება „საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“.

სამინისტრო ვალდებულია, სკოპინგის დასკვნის გაცემისას, **განხილოს** საზოგადოების მიერ წერილობით თუ ზეპირსიტყვიერად წარდგენილი მოსაზრებები და შენიშვნები და **„შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში“, გაითვალისწინოს ისინი.**

სკოპინგის პროცედურის დასრულებიდან **5 დღის ვადაში, სამინისტრომ უნდა გამოაქვეყნოს სკოპინგის დასკვნა** იმავე გზით, რა გზითაც საწყისად გამოაქვეყნა განცხადება: თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე. ამ მოთხოვნის შემთხვევაში, სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ნაბეჭდი ეგზემპლარის ხელმისაწვდომობაც.

სამინისტროს მიერ სკოპინგის ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილება - სკოპინგის დასკვნა - ისევე როგორც წინა და მომდევნო ეტაპების გადაწყვეტილებები, **შეიძლება გასაჩივრდეს** შესაბამის ორგანოებში (ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, სასამართლოში).

ყურადსაღებია, რომ **სკოპინგის დასკვნას, სკრინინგის გადაწყვეტილებებისგან განსხვავებით, აქვს თავისი მოქმედების ვადა** და ეს ლოგიკურიცაა: თუ საქმიანობის განმახორციელებელმა, სკოპინგის დასკვნის გაცემიდან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ ჩაატარა დეტალური გზმ კვლევა, დიდია ალბათობა იმის, რომ ამ პერიოდში, ტერიტორიაზე, სადაც დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება, შეიცვალოს ბუნებრივი და სოციალური გარემოს პირობები და შესაბამისად, სკოპინგის დასკვნით დაწესებული პირობები არარელევანტური აღმოჩნდეს. სწორედ, ამიტომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ადგენს სკოპინგის დასკვნის მოქმედების ვადას - 2 წელს. ამრიგად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას, სკოპინგის დასკვნა ძალადაკარგულად ცხადდება.

**რატომ უნდა მივიღოთ მონაწილეობა სამინისტროს მიერ სკოპინგის დასკვნის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში?**

როგორც ამ თავის დასაწყისში აღინიშნა, სკოპინგის ეტაპზე უნდა დადგინდეს ჩასატარებელი გზმ კვლევის ფარგლები - გზმ კვლევისას შესასწავლი საკითხები და ამ საკითხების შესწავლის მეთოდები. აქვე, უნდა გავიხსენოთ, რომ **გზმ უტარდება დაგეგმილ და არა განხორციელების პროცესში მყოფ პროექტებს;** ანუ **გზმ, თავისი არსით, პროგნოზია და არა უკვე დამდგარი რეალობა.** პროგნოზირებისას კი, ყველაფრის პროგნოზი შეუძლებელია. ყველაფრის პროგნოზირების მცდელობა სასარგებლოც არაა: ერთი მხრივ, ყველაფრის (მნიშვნელოვანის და ნაკლებად მნიშვნელოვანის) გამოკვლევის მცდელობისას, პროექტის განმახორციელებელი შეიძლება, „ჩაიკარგოს“ ახალ-ახალი საკითხების აღმოჩენაში და ვრცელი, უსარგებლო ანგარიშების წერაში; მეორე მხრივ, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ მიწოდებულ დიდ ინფორმაციასთან გამკლავება გაუჭირდება საზოგადოებასაც და გადაწყვეტილების მიმღებ პირებსაც. ამდენად, ძალზე მნიშვნელოვანია ბალანსის დაცვა კვლევის დეტალიზების ხარისხსა და ინფორმაციის მიწოდების ეფექტურობას შორის. სწორედ, ამისთვისაა სკოპინგის ეტაპი - დადგინდეს გზმ კვლევისთვის მნიშვნელოვანი საკითხები და გაიცხრილოს ნაკლებად მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო. ამ საკითხების დადგენის პროცესში საზოგადოების მონაწილეობას,

განსაკუთრებით კი, იმ ადგილობრივი თემების მონაწილეობას, რომლებიც შესაძლოა მოექცნენ დაგეგმილი პროექტის ზეგავლენის ქვეშ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საზოგადოება დაინტერესებული უნდა იყოს, რომ საქმიანობის განმახორციელებელს და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს არ გამოორჩეთ ადგილობრივთათვის (და ზოგადად, საზოგადოებისთვის) მნიშვნელოვანი საკითხები.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, სამინისტროს მიერ გაცემული **სკოპინგის დასკვნა სავალდებულოა საქმიანობის განმახორციელებლისთვის გზმ ანგარიშის მომზადებისას**. ეს ნიშნავს, რომ სკოპინგის დასკვნა ე.წ. „ტექნიკური დავალებაა“ გზმ კვლევისთვის; ანუ რაც დადგინდება სკოპინგის დასკვნით, ის სავალდებულოა და უნდა შესრულდეს. მომდევნო ეტაპზე, როდესაც საქმიანობის განმახორციელებელი მოამზადებს გზმ-ს და წარადგენს სამინისტროში საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, სწორედ, სკოპინგის დასკვნა უნდა იქნეს გამოყენებული კვლევის ხარისხის შესამოწმებლად. სხვა სიტყვებით, სკოპინგის დასკვნა ერთგვარი სახელმძღვანელოა საქმიანობის განმახორციელებლისთვის გზმ კვლევის ჩატარებისას; ასევე, სახელმძღვანელოდ უნდა გამოიყენოს ის გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა მომდევნო ეტაპზე გზმ კვლევაში ასახული ინფორმაციის სისრულის შესამოწმებლად. ამავე ამოცანის შესასრულებლად შეიძლება გამოიყენოს ის საზოგადოებამაც მომდევნო ეტაპზე. ეს არის კიდევ ერთი არგუმენტი იმისა, რომ საზოგადოება დაინტერესებული უნდა იყოს, მიიღოს მონაწილეობა სკოპინგის დასკვნის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სკოპინგის დასკვნის სავალდებულობა, ასევე, ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი გადახვევა დასკვნის პირობებიდან (საკითხის შეუსწავლელობა ან პირიქით, შესასწავლი საკითხის დამატება) უნდა იქნეს ახსნილი შემდგომ ეტაპზე მომზადებულ გზმ ანგარიშში.

### საყურადღებო საკითხები კანონმდებლობიდან და პრაქტიკული რჩევები

- ⊗ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა სამინისტროს და არა საქმიანობის განმახორციელებლის ვალდებულებაა; საქმიანობის განმახორციელებელი უნდა ესწრებოდეს საჯარო განხილვას. საჯარო განხილვის ორგანიზება, ჩატარება, განხილვის გაძღოლა, დაგეგმილი პროექტის მონაწილეთათვის წარდგენა და მოსაზრებების მიღება - ეს, ყველაფერი, სამინისტროს ვალდებულებაა. სამწუხაროდ, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც სამინისტროს წარმომადგენლები გამოდიან საქმიანობის განმახორციელებლის როლში, იცავენ რა დაგეგმილ პროექტს და იძლევიან განმარტებებს საქმიანობის განმახორციელებლის პოზიციიდან.

თუ მოქალაქე აღმოჩნდება მსგავს ვითარებაში, მას ყოველთვის შეუძლია მიუთითოს სამინისტროს წარმომადგენელს (წარმომადგენლებს), რომ მართალია, სამინისტროს წარმომადგენელმა უნდა წარუდგინოს განხილვის მონაწილეებს პროექტი, მაგრამ მან ეს უნდა გააკეთოს არა პროექტის განმახორციელებლის, არამედ სამინისტროს პერსპექტივიდან, მიუკერძოებლად. სამინისტროს წარმომადგენელმა, უფრო მეტიც, სამინისტროს მიერ მისაღები გადაწყვეტილების მნიშვნელოვან დეტალებს უნდა გაუსვას ხაზი.

- ⊗ სამწუხაროდ, პრაქტიკაში, არის შემთხვევები, როდესაც საქმიანობის განმახორციელებელი იწყებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცედურის გავლას მაშინ, როდესაც მას უკვე დაწყებული აქვს საქმიანობა (მშენებლობა, ან საწარმოს ოპერირებაც კი); ის არ ამჟღავნებს ამას, ვინაიდან ეს უკანონოა. სამინისტროც, ხშირად, არ ფლობს ინფორმაციას ასეთი უკანონო საქმიანობის შესახებ და იწყებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების ადმინისტრაციულ პროცედურებს. გასათვალისწინებელია,

რომ უკვე მიმდინარე საქმიანობისთვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად ეტაპების გავლა (მათ შორის, გზშ-ს ჩატარება), გარდა იმისა, რომ უკანონოა, აზრსაც მოკლებულია; გზშ, როგორც უკვე ითქვა, დაგეგმილ პროექტს უტარდება და არა განხორციელების პროცესში მყოფს.

ასეთი კანონდარდვების გამოსავლენად და თავიდან ასარიდებლად, მოქალაქეს ყოველთვის შეუძლია, მოითხოვოს (მაგალითად, საჯარო განხილვაზე) დაგეგმილი საპროექტო ტერიტორიის დათვალიერება და დარწმუნება იმაში, რომ დაგეგმილი საქმიანობის საპროექტო ტერიტორია ხელუხლებელია.

დაგეგმილი საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერება სხვა მხრივაც სასარგებლოა; ადგილის დათვალიერებისას შეიძლება გადამოწმდეს სკოპინგის ანგარიშში მოყვანილი ინფორმაციის სიზუსტე.

### ⊗ ალტერნატივები

ალტერნატივები მთელი გზშ-ს პროცესის და განსაკუთრებით, სკოპინგის ეტაპის უმნიშვნელოვანესი საკითხია. **ალტერნატივა დასახული მიზნის სხვადასხვა გზით (საშუალებით) მიღწევის შესაძლებლობაა.**

მაგალითად: ელექტროენერჯის გამომუშავება შესაძლებელია ნავთობის, გაზის, ქვანახშირის, ატომის, წყლის, ქარის, მზის, გეოთერმული, ტალღებისა და ბიომასის ენერჯების გამოყენებით. თუკი ჩავთლით, რომ ელექტროენერჯის გამომუშავება მიზანია, მაშინ ენერჯის ცალკეული წყაროს ათვისება ცალკე ალტერნატივად უნდა განვიხილოთ.

მეორე მაგალითი: დანიშნულების ადგილზე მისასვლელად შეგვიძლია გამოვიყენოთ ავტომანქანა, ველოსიპედი, მატარებელი, თვითმფრინავი, ან თუნდაც ცხენი. თუ დანიშნულების ადგილზე მისვლას მიზნად დავისახავთ, მაშინ გადაადგილების ყველა ჩამოთვლილი საშუალება - მიზნის სხვადასხვა ალტერნატივით მიღწევის საშუალებაა.

დაგეგმილი პროექტის გარემოზე შესაძლო ზეგავლენის შეფასებისას, ალტერნატივების გამოვლენას და შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს **ორი მიზეზის გამო**: პროექტის მიზნების მიღწევის საუკეთესო გზის დასადგენად და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესამცირებლად. ალტერნატივების განხილვა, გარემოზე ზეგავლენის შეფასებისას, სავალდებულოა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში. ზოგადად, არსებობს ალტერნატივების სხვადასხვა დონეზე (სხვადასხვა სახის ალტერნატივების) განხილვის შესაძლებლობა (იხ. ჩანართი #4), მაგრამ ეს ყოველთვის არ მოითხოვება. საქართველოში, კანონმდებლობით, სავალდებულოა:

- **სკოპინგის ეტაპზე** - დაგეგმილი საქმიანობისა და განხორციელების ადგილის ალტერნატივების განხილვა;
- **მომდევნო - გზშ-ს მომზადება-განხილვისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე** - დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილისა და ტექნოლოგიების ალტერნატივების განხილვა.

ალტერნატივების დადგენა ეფექტურია პროექტის დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე - მაშინ, როდესაც დგინდება პროექტის განხორციელების ტექნიკურ-ეკონომიკური შესაძლებლობა და არა მაშინ, როდესაც პროექტის განმანხორციელებელს უკვე ჩამოყალიბებული აქვს ხედვა პროექტის ფორმისა და ადგილმდებარეობის შესახებ. სწორედ, ამიტომ, ალტერნატივების დადგენისთვის საუკეთესო დროა სკოპინგის ეტაპი და სწორედ, ამ ეტაპზე

უნდა იქნეს განხილული და რამდენადაც შესაძლებელია, მხედველობაში იქნეს მიღებული, საზოგადოების მიერ შეთავაზებული ალტერნატივები.

#### ჩანართი #4 ალტერნატივების სახეები

- **მოთხოვნის ალტერნატივები** - საჭიროების დაკმაყოფილება მოთხოვნის მართვის მეთოდებით (მაგალითად, გენერაციის სიმძლავრეების გაზრდის ნაცვლად, ენერჯის უფრო ეფექტიანად გამოყენება);
- **საქმიანობის/პროექტის ალტერნატივები** (მაგალითად, ტრანსპორტის რაოდენობის რეგულირება ახალი საგზაო მაგისტრალის მშენებლობის ნაცვლად; საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა, გზის ტევადობის შესაძლებლობის გაზრდის ნაცვლად);
- **ადგილმდებარეობის ალტერნატივები** - განთავსების ადგილის, დერეფნის, მარშრუტის ალტერნატივები (მთელი პროექტის ან/და მისი კომპონენტებისთვის);
- **წარმოების პროცესის / ტექნოლოგიების ალტერნატივები** (მაგალითად, ქარხანაში ნახმარი წყლის ხელახლა გამოყენება წყლის ობიექტში ჩაღვრის ნაცვლად; ნარჩენების შესამცირებელი ან ენერგო-ეფექტური ტექნოლოგიების გამოყენება, მოპოვების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება);
- **განრიგის ალტერნატივები** - საქმიანობების იმგვარად დაგეგმვა, რომ თავიდან იქნეს აცილებულ სენსიტიურობის ზრდის პერიოდები (მაგალითად, სასწავლო დაწესებულების გვერდით ხმაურიანი სამუშაოების წარმოება არა სწავლის მიმდინარეობისას, არამედ სწავლის დასრულების შემდეგ)
- **საწყისი რესურსების ალტერნატივები** - სხვადასხვა მასალების ან დიზაინის გამოყენება;
- **უმოქმედების შერბილების ალტერნატივები** - უარყოფითი შედეგების შერბილების ალტერნატიული საშუალებების / გზების გამოყენება.

არცერთი ქვეყნის კანონმდებლობა არ ამბობს, **რამდენი ალტერნატივა** უნდა იქნეს განხილული, მაგრამ, როგორც წესი, დაზუსტებულია ალტერნატივების შერჩევის კრიტერიუმები. კარგ მიდგომად ითვლება **ყველა შესაძლო სიცოცხლისუნარიანი და ე.წ. „ნულოვანი ალტერნატივის“** განხილვა.

საქართველოს შემთხვევაში, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი მოითხოვს, რომ გზმ კვლევისას, დადგინდეს დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის **ყველა გონივრული ალტერნატივა, მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა.**

**უმოქმედობის, ანუ ნულოვან ალტერნატივას,** გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი (მე-10 მუხლი) შემდეგნაირად განმარტავს: საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერა, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით. სხვა სიტყვებით, ეს არის სცენარი (მდგომარეობა) დაგეგმილი პროექტის გარეშე. პრაქტიკაში, ნულოვანი ალტერნატივა, ხშირად, განიხილება როგორც საწყისი, საბაზისო მდგომარეობა და მას დარდება სხვა ალტერნატივები; ან ნულოვან ალტერნატივას დარდება საწყისადვე სასურველად მიჩნეული ალტერნატივა და საბუთდება ამ უკანასკნელის უპირატესობა; ორივე მიდგომა არასწორია.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ნულოვანი, ანუ „პროექტის გარეშე მდგომარეობის“ ალტერნატივა არ ნიშნავს გარემოში სტაგნაციას, სრულ უმოქმედობას. დაგეგმილი პროექტის განუხორციელებლობის შემთხვევაში, გარემო მაინც შეიძლება შეიცვალოს სხვა, უკვე ნებადართული ან პროგნოზირებული პროექტების გამო. მაგალითად,

დაგეგმილი ქარხნის მშენებლობის ნულოვან ალტერნატივად უნდა იქნეს განხილული გარემოს მდგომარეობა ამ ქარხნის გარეშე, მაგრამ იმ საწარმოებით, რომლებიც უკვე ახდენენ გავლენას, ან მომავალში მოახდენენ გარემოზე, რადგან მათი საქმიანობა უკვე ნებადართულია (მოპოვებული აქვთ საქმიანობის დაწყებისთვის საჭირო უფლებები) ან/და რეალისტურია მათი საქმიანობის დაწყება განჭვრეტად მომავალში. ამგვარად, ნულოვანი ალტერნატივა თავად უნდა იქნეს შეფასებული, როგორც გარკვეული მიზნების მიღწევის საშუალება.

პრაქტიკაში, სამწუხაროდ, ხშირად, ალტერნატივების (მათ შორის, ნულოვანის) განხილვის მოთხოვნა საერთოდ იგნორირებულია, ან ძალზე ზერელედ, ხელოვნურადაა განხილული. ამასთან, სხვა ალტერნატივების „ჩამოსაშორებლად“, პრიორიტეტული ალტერნატივა ყველაზე დეტალურადაა შესწავლილი და განხილული. ყველა ალტერნატივა, ბუნებრივია, ვერ იქნება ერთნაირი დეტალურობით შესწავლილი; სწორედ, ამიტომ **სკოპინგის ეტაპზე**, უნდა განიხილებოდეს ალტერნატივების ფართო წრე, რათა დადგინდეს, რომლის განხილვა უნდა გაგრძელდეს შემდგომ (გზმ ანგარიშის მომზადებისას) და რომელი - გაიცხრილოს.

როგორ უარვყოთ ხელოვნური და შევარჩიოთ რელევანტური, „გონივრული“ ალტერნატივები? ეს შესაძლებელია შემდეგი მსჯელობით: რეალისტური ალტერნატივა უნდა იძლეოდეს მიზნების წარმატებულად მიღწევის საშუალებას, დროის მისაღებ პერიოდში და ითვალისწინებდეს ეკონომიკურ, სოციალურ, გარემოსდაცვით და ტექნიკურ ფაქტორებს.

## თავი 4. გზმ ანგარიშის მომზადება და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება

სკოპინგის ეტაპს მოსდევს ახალი ეტაპი, რომელიც ითვალისწინებს: (ა) საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გზმ კვლევის ჩატარებას და ანგარიშის მომზადებას, სკოპინგის დასკვნის საფუძველზე; და (ბ) სამინისტროს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ. ამ ეტაპზე, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ავალდებულებს სამინისტროს, უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები აქ ძალზე ჰგავს სკოპინგის ეტაპზე მონაწილეობის პროცედურებს; განსხვავება ვადებსა და რამდენიმე დეტალშია, რომელიც ქვემოთაა ახსნილი.

### საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გზმ კვლევის ჩატარება და გზმ ანგარიშის მომზადება

კანონმდებლობით, **გზმ კვლევას ატარებს საქმიანობის განმახორციელებელი** თავად, საკუთარი ძალებით, ან მის მიერ დაქირავებული კონსულტანტი - ფიზიკური ან იურიდიული პირი. მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, გზმ კვლევების ჩამტარებელი კონსულტანტი უნდა იყოს ლიცენზირებული ან რეგისტრირებული სპეციალურ ორგანოში. საქართველოში ასე არაა: საქართველოში კონსულტანტს არ მოეთხოვება რაიმე სახის სერტიფიკატის ქონა, რომელიც დაადასტურებდა მის კვალიფიკაციას ან აჩვენებდა, რომ მას აქვს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება ხარისხიანი გზმ-ს ჩასატარებლად. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი უბრალოდ განმარტავს, რომ: კონსულტანტი არის „პირი, რომელსაც აქვს გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვალიფიკაცია, სამეცნიერო, ტექნიკური და მეთოდური შესაძლებლობები“.

კონსულტანტი, ისევე როგორც გზმ ანგარიშის მომზადებაში ჩართული ნებისმიერი პირი, კანონით, ვალდებულია, მოაწეროს ხელი გზმ ანგარიშს. კონსულტანტის და გზმ-ს მომზადებაში ჩართული პირების ამგვარად იდენტიფიცირება ხდება იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ინტერესთა კონფლიქტი: გზმ ანგარიშის მომზადებაში ჩართულმა პირმა არ მიიღოს მონაწილეობა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ გზმ ანგარიშის ექსპერტიზაში (საექსპერტო კომისია შედგება დაკომპლექტდეს სამინისტროს თანამშრომლებისა და ე.წ. „საზოგადოებრივი ექსპერტებისგან“).

### გზმ ანგარიშის შინაარსი

გზმ ანგარიშის შინაარსს - ანგარიშში აუცილებლად განსახილველ საკითხებს - განსაზღვრავს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლი. კოდექსში მოცემულია საკითხების ვრცელი ჩამონათვალი, რომელიც წარმოდგენილია ამ სახელმძღვანელოს მე-2 დანართში. აქ გზმ ანგარიშისადმი მოთხოვნებიდან, რამდენიმე მნიშვნელოვან მოთხოვნაზე გავამახვილებთ ყურადღებას; კერძოდ, კოდექსის თანახმად, **გზმ ანგარიშში აღწერილი უნდა იყოს:**

- დაგეგმილი საქმიანობის როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპის შესაძლო უარყოფითი შედეგები;
- გონივრული ალტერნატივები, მათ შორის, ნულოვანი ალტერნატივა და მათი დასაბუთება;
- დაგეგმილი საქმიანობით გამოწვეული შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი, კუმულაციური, მოკლევადიანი და გრძელვადიანი, პოზიტიური და ნეგატიური ზემოქმედება (შედეგები);
- გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, შემცირების, შერბილებისა და კომპენსირების ღონისძიებები;
- კვლევის მეთოდოლოგია და ინფორმაციის წყაროები;
- სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება.

**გზმ ანგარიშს თან უნდა ახლდეს** კოდექსით დადგენილი სპეციფიური ინფორმაცია (მათ შორის, ჰაერსა და წყალში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის შესახებ გათვლები) და ასევე - რაც მოქალაქეთათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია - საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობისა უზრუნველსაყოფად, **გზმ ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე**. კოდექსი არატექნიკურ რეზიუმეს შემდეგნაირად **განმარტავს**: გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მოკლე აღწერა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას საქმიანობის განმახორციელებლის, საქმიანობის განხორციელების ადგილის, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების და ანგარიშით გათვალისწინებული სხვა საკითხების თაობაზე, შესრულებულია არატექნიკურ ენაზე და თან ერთვის გრაფიკული და საილუსტრაციო მასალები.

#### როგორ მიიღება გადაწყვეტილება ამ ეტაპზე?

- საქმიანობის განმახორციელებელი **მიმართავს სამინისტროს განცხადებით** გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე. განცხადებას თან უნდა დაერთოს **გზმ ანგარიში**, ელექტრონული და მატერიალური ფორმით, და კოდექსის მე-11 მუხლით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ.
- ისევე როგორც წინა ეტაპებზე, სამინისტრომ განცხადების რეგისტრაციიდან **3 დღის ვადაში** უნდა უზრუნველყოს განცხადებისა და თანდართული **დოკუმენტების გამოქვეყნება**, ზუსტად იმავე გზით, როგორც სკრინინგისა და სკოპინგის ეტაპებზე (იხ. წინა თავები).
- ამავე სამდღიან ვადაში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა უნდა შექმნას **საექსპერტო კომისია**, რომელმაც უნდა განიხილოს გზმ ანგარიში და შექმნიდან **40 დღის ვადაში** სამინისტროს წარუდგინოს **ექსპერტიზის დასკვნა გზმ ანგარიშის შესახებ**.

საექსპერტო კომისია ხელახლა იქმნება ყოველი კონკრეტული საქმიანობის შემთხვევაში. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება იყვნენ სამინისტროში დასაქმებული საჯარო მოხელეები, საზოგადოებრივი ექსპერტები, ასევე უცხოელი ექსპერტები (ან/და ორგანიზაციები).

საექსპერტო კომისიის მუშაობის შედეგები აისახება ექსპერტიზის დასკვნაში. დასკვნას ხელს აწერენ საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე და წევრები. ყურადსაღებია, რომ **ექსპერტიზის დასკვნა სარეკომენდაციო ხასიათისაა** და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მისი გათვალისწინება **სამინისტროსთვის სავალდებულო არ არის; თუმცა, გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, სამინისტრო ვალდებულია დაასაბუთოს ასეთი გადაწყვეტილება**.

- სამინისტროს **საბოლოო გადაწყვეტილების მიღება** შეუძლია განცხადების რეგისტრაციიდან **არაუადრეს 51-ს დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა**.

გადაწყვეტილება შეიძლება იყოს **დადებითი** - ანუ გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, ან **უარყოფითი** - უარი ეთქვას განმცხადებელს საქმიანობის განხორციელებაზე. ამ ეტაპზეც, უარის თქმის საფუძვლები ზუსტად ისეთივეა, როგორც სკრინინგისა და სკოპინგის ეტაპებზე (დადგენილია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-14 მუხლით).

- ყურადსაღებია, რომ სამინისტროს შეუძლია, **შეაჩეროს გადაწყვეტილების მისაღებად წარმოებული ადმინისტრაციული პროცედურა**, განცხადების რეგისტრაციიდან 15 დღის ვადაში. ეს ხდება მაშინ, თუ ამ პერიოდში საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარდგენილ ინფორმაციას დაუდგინდა ხარვეზი - მან არ წარადგინა რაიმე დოკუმენტი ან ინფორმაცია, „რომელიც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის“. სამინისტრო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს

დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. სამინისტროს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, ხარვეზის გამოსწორების ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს, მაგრამ არაუმეტეს 15 დღით.

- გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ავალდებულებს სამინისტროს, უზრუნველყოს **საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში** და ადგენს ამისათვის აუცილებლად გასატარებელ ქმედებებს. ეს ქმედებები აღწერილია ქვემოთ.
- გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი განსაზღვრავს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **შინაარსისადმი ზოგად მოთხოვნებს და მოქმედების ვადას**. კოდექსის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, საქმიანობის განმახორციელებლის და პროექტის შესახებ ზოგად ინფორმაციასთან ერთად, **სავალდებულოდ უნდა მოიცავდეს**:
  - ინფორმაციას გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს **სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ლიცენზიის/ნებართვის გაცემის დროს**;
  - პირობებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა **მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში და ექსპლუატაციის დასრულების შემდეგ**;
  - ინფორმაციას **საქმიანობის შემდგომი** (საქმიანობის განხორციელების დაწყების შემდგომ ჩასატარებელი) **ანალიზის მიზნის, მასშტაბისა და პერიოდულობის შესახებ**.

გარდა სავალდებულო ნაწილისა, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, ასევე, **შესაძლოა მოიცავდეს სხვა დამატებით პირობებს**, რომლებიც განსაზღვრულია გარემოსდაცვითი კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით.

კოდექსის თანახმად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის **მინისტრის ბრძანებაში**, რომლითაც გაიცემა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, აუცილებლად **უნდა დასაბუთდეს**, თუ როგორ იქნა გათვალისწინებული (ა) საზოგადოების მონაწილეობის შედეგად მიღებული შენიშვნები და მოსაზრებები, (ბ) ექსპერტიზის დასკვნა და (გ) გზშ ანგარიშში წარმოდგენილი შეფასებები.

- რაც შეეხება გარემოსდაცვითი **გადაწყვეტილების მოქმედების ვადას**, ის უვალაა - **გაიცემა განუსაზღვრელი ვადით**. საგულისხმოა, რომ საქართველოსგან განსხვავებით, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მსგავსი გადაწყვეტილებები, ხშირად, გაიცემა გარკვეული ვადით, იმის გათვალისწინებით, რომ გარემო პირობები მუდმივად იცვლება და ნებადართულ საწარმოსაც, შეიძლება შეეცვალოს ოპერირების პირობები. ყურადსაღებია, ასევე, რომ თუ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, საქმიანობის განმახორციელებელი არ დაიწყებს საქმიანობას 5 წლის ვადაში, **სამინისტრო ამ გადაწყვეტილებას ძალადაკარგულად გამოაცხადებს**.
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება საქმიანობის განხორციელების სავალდებულო წინაპირობაა; რაც ნიშნავს იმას, რომ **საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ**. საქმიანობის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება (ისევე როგორც მისი პირობების შეუსრულებლობა) ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს.
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, ისევე როგორც წინა - სკრინინგისა და სკოპინგის ეტაპების გადაწყვეტილებები შეიძლება **გასაჩივრდეს** შემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში და სასამართლოში.
- სამინისტროს მიერ მიღებული **გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ან უარი საქმიანობის განხორციელებაზე) უნდა გამოქვეყნდეს იმავე ვადაში და იმავე გზებით**, რაც სკრინინგისა და სკოპინგის გადაწყვეტილებები (იხ. წინა თავებში). გადაწყვეტილებასთან ერთად, უნდა გამოქვეყნდეს: გზშ-ის ანგარიში, ექსპერტიზის დასკვნა და საზოგადოების მონაწილეობის შედეგების შესახებ ინფორმაცია.

### როგორ შეგვიძლია მივიღოთ მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ ადმინისტრაციულ პროცედურაში?

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გასაცემად წარმოებულ ადმინისტრაციულ პროცედურაში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად (ისევე როგორც სკოპინგის ეტაპზე) სამინისტრო, ვალდებულია, რომ ჯერ **გაავრცელოს ინფორმაცია**, შემდეგ - **მიიღოს საზოგადოების მოსაზრებები**, **გაითვალისწინოს** ისინი და ბოლოს, **გამოაქვეყნოს გადაწყვეტილება და მისი დასაბუთება**. როგორც ზემოთ აღინიშნა სკოპინგის ეტაპზე და ამ ეტაპზე საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობები ძალზე ჰგავს ერთმანეთს. ამიტომ აქ განსხვავებებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

- საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე **განცხადება** და თანდართული დოკუმენტები, მათ შორის, **გზმ ანგარიში**, ისევე როგორც წინა ეტაპებზე, **რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში უნდა გამოაქვეყნოს** სამინისტრომ, სკოპინგის ეტაპზე გამოყენებული გზებით.
- **განცხადების განთავსებიდან 40 დღის ვადაში**, საზოგადოებას უფლება აქვს, სამინისტროს წერილობით წარუდგინოს მოსაზრებები და შენიშვნები **არამართო გზმ ანგარიშთან დაკავშირებით**, არამედ დაგეგმილი საქმიანობის და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გასათვალისწინებელი პირობების შესახებაც. ყურადსაღებია, რომ წერილობითი შენიშვნები სამინისტროს შეიძლება წარუდგინოს როგორც **მატერიალური ფორმით**, ისე **ელექტრონული ფორმით** (მაგ., გაეგზავნოს ელექტრონული ფოსტის საშუალებით), ოღონდ იმ პირობით, რომ შესაძლებელი იქნება ავტორისა და გამომგზავნის სარწმუნო იდენტიფიცირება. სამინისტროსთან კომუნიკაციის ეს ფორმა - ელექტრონული მიმოწერა - შეიძლება გამოყენებულ იქნეს წინა, სკრინინგისა და სკოპინგის ეტაპებზეც.
- ისევე როგორც სკოპინგის ეტაპზე, ამ ეტაპზეც სამინისტრო ვალდებულია მოაწიოს **საჯარო განხილვა** და ამ გზითაც მისცეს საზოგადოებას შესაძლებლობა, ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სკოპინგის ეტაპისგან განსხვავებით, ვადები აქ უფრო დიდია; კერძოდ:
  - **საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია** უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვის ჩატარებამდე არაუგვიანეს 20 დღისა;
  - **საჯარო განხილვა** უნდა ჩატარდეს განცხადების განთავსებიდან არაუადრეს 25-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა.
- **საჯარო განხილვის ორგანიზებასთან დაკავშირებული დეტალები** (მათ შორის, ადგილმდებარეობა, დოკუმენტების განთავსება, ოქმის შედგენა და სხვა), ასევე, საზოგადოების მიერ წარდგენილი **შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებასთან** დაკავშირებული სამინისტროს ვალდებულებები სკოპინგის ეტაპის იდენტურია. სკოპინგის ეტაპისგან განსხვავებით, ამ ეტაპისთვის, კანონმდებლობა, საჯარო განხილვის ორგანიზებასთან დაკავშირებით ორ დამატებით პირობას ადგენს; კერძოდ:
  - საჯარო განხილვის შესახებ **ცნობა**, სხვა აუცილებელ ინფორმაციასთან ერთად, უნდა მოიცავდეს **ინფორმაციას არატექნიკური რეზიუმეს ხელმისაწვდომობის შესახებ**;
  - მეორე პირობა საჯარო განხილვისას **საქმიანობის განმახორციელებლისა და მის მიერ დაქირავებული კონსულტანტის როლს** უკავშირდება. კერძოდ, კანონმდებლობით, საჯარო განხილვაში საქმიანობის განმახორციელებლის მონაწილეობის შემთხვევაში, მასაც აქვს უფლება, საჯარო განხილვის მონაწილეებს გააცნოს მის მიერ დაგეგმილი საქმიანობის დეტალები.

## საყურადღებო საკითხები კანონმდებლობიდან და პრაქტიკული რჩევები

- **გზმ ანგარიშის ხარისხი**

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, მეწარმეების მიერ დაგეგმილი პროექტები (მაგალითად, ცემენტის ქარხანა ბათუმში, ცემენტის ქარხანა ბორჯომში და ცემენტის ქარხანა ონში) წარმოების ერთი და იგივე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებას ითვალისწინებენ, ეს პროექტები, თავისი ხასიათით მაინც უნიკალურები არიან. უნიკალურობას განსაზღვრავს მათი ადგილმდებარეობა, ბუნებრივი და სოციალური გარემო, რომლებშიც ისინი უნდა განხორციელდეს. ეს განსაზღვრავს ამ პროექტების გარემოზე ზეგავლენის ხასიათს, რომელიც განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ სად ხორციელდება პროექტი. პროექტების უნიკალურობას განაპირობებს, ასევე, თავად პროექტების განმახორციელებლების ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობები. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია იმდენად, რამდენადაც პროექტების განმახორციელებლებმა უნდა შეძლონ პროექტების განხორციელება და გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენის თავიდან აცილება ისე, როგორც ეს დაგეგმილი იყო და რაც მთავარია, ასახული იყო გზმ ანგარიშში. ამის გამო, **ძალზე მნიშვნელოვანია, რომ გზმ ანგარიშებში ასახული ინფორმაცია იყოს ნამდვილი.**

სამწუხაროდ, ძალზე ხშირია შემთხვევები, როდესაც საქმიანობების განმახორციელებლები და მათ მიერ დაქირავებული კონსულტანტები, თავის გზმ ანგარიშებში იწერენ ინფორმაციას სხვა მსგავსი პროექტების გზმ ანგარიშებიდან. მსგავს პრაქტიკას იყენებენ უფრო ადრეულ ეტაპზეც - სკოპინგის ანგარიშების მომზადებისას. საქმიანობების განმახორციელებლები და კონსულტანტები გადაწერას მიმართავენ მაშინ, როდესაც არ ატარებენ საჭირო კვლევებს და ცდილობენ, სხვისი (ან/და სხვა დროს ჩატარებული) კვლევები, განსახილველი პროექტისთვის ჩატარებულ კვლევად წარმოაჩინონ. ასეთი შემთხვევების გამოვლენა რთული არ არის, მაგრამ დაინტერესებული მოქალაქის გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვს.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია გზმ ანგარიშის ყურადღებით წაკითხვა. გადაწერის შემთხვევაში, ანგარიშების ავტორებს ხშირად ავიწყდებათ ტოპონიმის შეცვლა (მაგალითად, ბათუმის ნაცვლად, შეიძლება ეწეროს ბორჯომი, მაშინ როდესაც საქმიანობა ბათუმში უნდა განხორციელდეს); ასევე, გადაწერისას შეცდომები დაშვებული ბუნებრივი გარემოს პირობებისა და მიმდებარე დასახლებების აღწერაში. უზუსტობების და მცდარი ინფორმაციის გამოვლენის მეორე გზაა დაგეგმილი პროექტის ადგილზე გასვლა და დათვალიერება, ასევე, ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრება, დარგის სპეციალისტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაცია.

განსახილველად წარმოდგენილი დაგეგმილი პროექტის გზმ ანგარიშში სხვა პროექტის გზმ ანგარიშიდან გადმოწერილი ინფორმაციის (მონაცემების, ანალიზის, დასკვნების) აღმოჩენის შემთხვევაში, დაინტერესებულმა მოქალაქემ აუცილებლად უნდა აცნობოს ამის შესახებ სამინისტროს (წერილობით წარდგენილ შენიშვნებსა და კომენტარებში, ან საჯარო განხილვაზე). სამინისტრომ კი, ეს გარემოება, მხედველობაში უნდა მიიღოს პროექტზე გადაწყვეტილების მიღებისას.

- **ხარვეზი საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარდგენილ ინფორმაციაში**

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამინისტროს უფლება აქვს, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარდგენილ ინფორმაციაში ხარვეზის გამოვლენის მიზეზით, შეაჩეროს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად წარმოებული ადმინისტრაციული პროცედურა. სამინისტროს ეს შეუძლია გააკეთოს არამარტო


გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე, არამედ უფრო ადრეულ ეტაპებზეც - სკრინინგისა (სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებისას) და სკოპინგის ეტაპებზეც (სკოპინგის დასკვნის დამტკიცებისას).

საქმე იმაშია, რომ სამინისტრო ხშირად სარგებლობს კანონით მინიჭებული ამ უფლებით, მაგრამ არამართლზომიერად: სამინისტრო ხშირად აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას სკრინინგის, სკოპინგისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების ეტაპებზე, საქმიანობის განმასხვრციელებლების მიერ წარდგენილ ინფორმაციაში ხარვეზის გამოვლენის მიზეზით; თუმცა, ის ამას აკეთებს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლი ამბობს, რომ ხარვეზის გამოსასწორებლად, სამინისტრომ განმცხადებელს უნდა განუსაზღვროს ვადა; **სამინისტრო კი, ამას არ აკეთებს. შედეგად, ასეთი ადმინისტრაციული წარმოებები ვადის დადგენის გარეშე - განუსაზღვრელი ვადით წყდება.** ეს, გარდა იმისა, რომ კანონდარღვევაა, ძალზე ართულებს დაინტერესებული საზოგადოებისთვის მინიჭებული მონაწილეობის უფლების რეალიზების შესაძლებლობას. ასეთ ვითარებაში, სკრინინგის გადაწყვეტილების, სკოპინგის დასკვნისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის კოდექსით დადგენილი ვადები აზრს კარგავს, რადგან ადმინისტრაციული წარმოებები შეიძლება თვეობით და წლობით გაიწელოს. მონაწილეობით დაინტერესებულ საზოგადოებას მხოლოდ ერთი გზა რჩება - თვეების და წლების განმავლობაში, ყოველდღიურად შეამოწმოს სამინისტროს ვებგვერდი (ისიც თუ აქვს ინტერნეტზე წვდომა) იმის შესამოწმებლად, ხომ არ განახლდა ადმინისტრაციული წარმოება მისთვის საინტერესო პროექტზე.

რა უნდა ქნას დაინტერესებულმა მოქალაქემ ასეთ შემთხვევაში? პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მოქალაქემ უნდა მოიპოვოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომლითაც შეჩერდა ადმინისტრაციული წარმოება. თუ აღმოჩნდება, რომ სამართლებრივი აქტით არ არის დადგენილი ხარვეზის სახე და მისი აღმოფხვრის ვადა, მოქალაქეს შეუძლია გაასაჩივროს ეს აქტი ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში და სასამართლოში.

აუცილებელია, ასევე, სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული განცხადების გადაღება - ე.წ. „სქრინშოთის“ (screenshot) გაკეთება, როგორც ეს ნაჩვენებია #1 სურათზე.



სურათი #1. სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული განცხადების ფოტო („სქრინშოთი“)

ვებ-გვერდისთვის ფოტოს გადაღება, ფოტოს დათარიღება, განცხადებაში მითითებული ბმულების დათვალიერება და ჩამოტვირთვადი ელექტრონული დოკუმენტების შენახვა - ყველაფერი ეს აუცილებელია იმისათვის, რომ სამინისტროს მიერ განცხადების ცვლილების შემთხვევაში, მოქალაქემ შეძლოს განსხვავების დანახვა და ღირს შემთხვევაში, თავისი პოზიციის დოკუმენტურად გამყარება.


• **ინფორმაციის გამოქვეყნება სამინისტროს ვებგვერდზე**

როგორც ამ და წინა თავებიდან ნათელია, სამინისტრო ვალდებულია საქმიანობაზე გადაწყვეტილების მიღების სამივე ეტაპზე (სკრინინგი, სკოპინგი, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება) უზრუნველყოს საზოგადოების მონაწილეობა; მონაწილეობა კი, შეუძლებელია საზოგადოების ინფორმირების გარეშე.

სამინისტრო, გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე ვალდებულია, რომ თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნოს სკრინინგის, სკოპინგისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მისაღებად პროექტების განმახორციელებლების მიერ სამინისტროში წარდგენილი დოკუმენტები; სამინისტრომ ასევე, უნდა გამოაქვეყნოს განცხადებები საჯარო განხილვების შესახებ; ბოლოს კი, თითოეული ეტაპის გადაწყვეტილებები.

სამწუხაროდ, სამინისტრომ დღემდე ვერ შეიმუშავა ისეთი ინტერნეტ-პლატფორმა - სპეციალური გვერდი - სადაც თავმოყრილი იქნებოდა და მარტივად, ნათლად და სტრუქტურირებულად გამოქვეყნდებოდა სამინისტროს მიერ სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია.

ამჟამად, სამინისტროს მიერ სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია ქვეყნდება სამინისტროს ვებგვერდზე [mepa.gov.ge](http://mepa.gov.ge) სექციაში „საჯარო ინფორმაცია“ (იხ. სურათი #2), მაგრამ თავად ეს სექციაც დაყოფილია ქვე-სექციებად, მათგან სამია რელევანტური დაინტერესებული მოქალაქეებისთვის.



სურათი #2. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდი

„საჯარო ინფორმაციის“ სექცია მოიცავს გზშ პროცესებით დაინტერესებული მოქალაქეებისთვის საინტერესო სამ სექციას (იხ. სურათი #3). ესენია: „პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი დოკუმენტები“, „გზშ და სგშ განცხადებები“ და „საჯარო განხილვისთვის“.

<u>პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი დოკუმენტები</u>
ჰაერის დაბინძურების ხარისხი
<u>გზშ და სგშ განცხადებები</u>
ანგარიშები
სტრატეგიული დოკუმენტები
განცხადებები
<u>საჯარო განხილვისთვის</u>
ინვესტიციების
მოთხოვნა საჯარო ინფორმაცია

„**პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი დოკუმენტები**“ - ამ სექციაში მოცემულია სხვადასხვა სახის დოკუმენტების ვრცელი ჩამონათვალი, სადაც **1.6 პუნქტის** ქვეშ მოცემულია სამინისტროს მიერ 2018 წლის 1 იანვრიდან დღემდე მიღებული: (1) სკრინინგის გადაწყვეტილებები, (2) სკოპინგის დასკვნები და (3) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებები.

„**გზშ და სგშ განცხადებები**“ - ამ სექციაში განთავსებულია სკრინინგის, სკოპინგისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების თაობაზე ადმინისტრაციული პროცედურების დაწყების შესახებ სამინისტროს გაცხადებები. სწორედ, აქ არის ხელმისაწვდომი საქმიანობების განმახორციელებლების მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადებები, სკოპინგის ანგარიშები და გზშ ანგარიშები, ასევე, მათ მიერვე წარდგენილი, დაგეგმილ საქმიანობასთან

სურათი #3. საჯარო ინფორმაციის სექცია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდზე

დაკავშირებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტი.

„**საჯარო განხილვისთვის**“ - აქ სამინისტრო ათავსებს განცხადებებს სკოპინგის და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების ეტაპებზე ჩასატარებელი საჯარო განხილვების შესახებ. საჯარო განხილვის შესახებ განცხადებებში, როგორც წესი, წარმოდგენილია კანონმდებლობით მოთხოვნილი ინფორმაცია (სად, როდის ტარდება განხილვა და ა.შ.) და ასევე, საჯარო შეხვედრაზე განსახილველი დოკუმენტები (რომლებიც, ამავედროულად, განთავსებულია „გზშ და სგშ განცხადებების“ სექციაში).

გასათვალისწინებელია, რომ ამა თუ იმ კონკრეტულ საქმიანობაზე გამოქვეყნებული სხვადასხვა ეტაპის ინფორმაცია და დოკუმენტები არ არის ტექნიკურად ერთმანეთთან ბმულებით დაკავშირებული. ამიტომ, დაინტერესებულ პირმა ერთ კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებული განცხადებები და დოკუმენტები უნდა მოძებნოს ყველა შემთხვევაში სექციაში.

სამინისტროს პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ვებგვერდზე ერთ დროს განთავსებული დოკუმენტები, მოგვიანებით, აღარ არის ხელმისაწვდომი იმავე ბმულზე. სწორედ, ამიტომ, ამა თუ იმ დაგეგმილ საქმიანობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვით დაინტერესებულმა პირმა, სასურველია, გამოიჩინოს წინდახედულობა და საინტერესო პროექტთან დაკავშირებით გამოქვეყნებული დოკუმენტების ელექტრონული ვერსიები გამოქვეყნებისთანავე ჩამოტვირთოს და შეინახოს პერსონალურ კომპიუტერზე. გარდა ამისა, სასურველია, ასევე, განცხადებების ფოტოების („სქრინების“) გადაღებაც, სადაც ნათლად იქნება გამოჩენილი განცხადებაც და ინტერნეტ-ბმულიც. ასეთი ფოტოები მოქალაქეს, შესაძლოა, გამოადგეს სამინისტროსთან დავისას.

- **საჯარო განხილვის დროისა და ადგილის ცვლილება**

ყოფილა შემთხვევები, როდესაც საჯარო განხილვის ჩატარებაზე ცნობის გამოქვეყნების შემდეგ, სამინისტრომ შეცვალა შეხვედრის დრო ან/და ადგილი, ან საერთოდ გააუქმა საჯარო განხილვა. ეს განსაკუთრებით პრობლემურია იმ მოქალაქეებისთვის, ვისაც საჯარო განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, უწევთ სხვა ქალაქში ან სოფელში გამგზავრება. ამის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ საჯარო განხილვაში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში, მოქალაქემ წინასწარ გადაამოწმოს, ხომ არ შეიტანა სამინისტრომ ცვლილებები საჯარო განხილვის შესახებ ცნობაში.

- **გზმ-დან გათავისუფლება**

გარემოსდაცვითი კოდექსით განსაზღვრულ განსაკუთრებულ შემთხვევებში, საქმიანობის განმახორციელებელი შესაძლებელია, გათავისუფლდეს გზმ-ს ჩატარების ვალდებულებისგან; ასეთ განსაკუთრებულ გარემოებად კოდექსი განიხილავს: (1) სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ან (ბ) ფორსმაჟორული სიტუაციით გამოწვეული გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ღონისძიებების განხორციელებას.

როგორ მიიღება გადაწყვეტილება ასეთ შემთხვევაში? - კოდექსის თანახმად: საქმიანობის განმახორციელებელმა სამინისტროს უნდა წარუდგინოს დასაბუთებული განცხადება გზმ-დან გათავისუფლების შესახებ, ხოლო სამინისტრომ უნდა უშუამდგომლოს განმცხადებელს საქართველოს მთავრობასთან, ვინაიდან სწორედ მთავრობაა უფლებამოსილი მიიღოს გზმ-დან გათავისუფლების გადაწყვეტილება.

კოდექსი არაფერს ამბობს, რა ვადაში და რა წესით მიიღება გზმ-დან გათავისუფლების გადაწყვეტილება. რაც შეეხება საზოგადოების მონაწილეობას, ეს პროცედურა არ ითვალისწინებს ამას. კოდექსი მხოლოდ ავალდებულებს სამინისტროს გამოაქვეყნოს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარდგენილი განცხადება; პროცედურის დასრულების ბოლოს კი, გამოაქვეყნოს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება.

## თავი 5. რა ხდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შემდეგ?

### • გარემოსდაცვითი მონიტორინგი და კონტროლი

სამინისტროს მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შემდეგ, საქმიანობის განმხორციელებელს შეუძლია დაიწყოს დაგეგმილი საქმიანობა, თუ მას, რა თქმა უნდა, ასევე, მოპოვებული აქვს საქმიანობის დასაწყებად აუცილებელი, საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილი სხვა ლიცენზიები და ნებართვები (მაგალითად, მშენებლობის ნებართვა). აქვე, ყურადსაღებია, რომ სხვა ლიცენზიებითა და ნებართვებით არ შეიძლება დადგინდეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საწინააღმდეგო სალიცენზიო ან/და სანებართვო პირობები.

პროექტის დაწყებასთან ერთად, **საქმიანობის განმახორციელებელმა** უნდა დაიწყოს გზშ-ით და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობებით განსაზღვრული, გარემოს მდგომარეობის მარჯვენა მონაცემების შეგროვება, მონიტორინგი და შეფასება; მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე კი, უნდა გაატაროს შესაბამის ღონისძიებები. **სამინისტრო**, თავის მხრივ, ამ ეტაპზე, უნდა დარწმუნდეს გზშ-ის პროგნოზების სისწორეში და იმაში, რომ საქმიანობის განმახორციელებელი ნამდვილად ასრულებს: (ა) გზშ ანგარიშით აღებულ ვალდებულებებს მავნე ზეგავლენის შესარბილებლად; (ბ) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობებს და (3) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ზოგადსავალდებულო ნორმებს.

**საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებას** გადაწყვეტილების მიღების შემდგომი ეტაპიც ითვალისწინებს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელებული პრაქტიკაა, ამ ეტაპზე, დაინტერესებული მხარეების და ზოგადად, საზოგადოების ინფორმირება გადაწყვეტილების მიღების შემდგომი ეტაპის შედეგების შესახებ. საქართველოს კანონმდებლობაც მსგავს მექანიზმს ითვალისწინებს.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, **საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია** აწარმოოს „საქმიანობის შემდგომი ანალიზი“, რომელიც მოიცავს:

- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობებისა და შემარბილებელი ღონისძიებების მონიტორინგს;
- საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების ანალიზს; და
- გზშ-ის ანგარიშით გათვალისწინებული გარემოს მახასიათებლების ცვლილებების შეფასებას.

საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია, საქმიანობის შემდგომი ანალიზის შედეგები წარუდგინოს სამინისტროს, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში. **სამინისტრო**, კი თავის მხრივ, ვალდებულია, აღნიშნული ინფორმაციის მიღებიდან 3 დღის ვადაში, განათავსოს ის სამინისტრო ვებგვერდზე.

სამინისტრო ვალდებულია, ასევე, გააკონტროლოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობებისა და კანონმდებლობით დადგენილი ზოგადსავალდებულო ნორმების შესრულება. ამ ფუნქციას ამჟამად ასრულებს სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება **გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი**.

- **გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირისთვის გადაცემა**

ამა თუ იმ საქმიანობისთვის გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, შესაძლოა, სხვა პირის მფლობელობაში აღმოჩნდეს; სხვა სიტყვებით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შეიძლება გაიცეს ერთ პირზე და შემდეგ, საქმიანობა განახორციელოს სულ სხვა პირმა. ამის შესაძლებლობას გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი უშვებს. კოდექსის თანახმად, **დასაშვებია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირისთვის გადაცემა**, სრულად ან ნაწილობრივ, ოღონდ იმ პირობით, რომ ეს არ ეწინააღმდეგება ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის არსს, განსაზღვრულ პირობებს ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

გადაწყვეტილებას გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირისთვის გადაცემის შესახებ, იღებს საზოგადოების მონაწილეობის გარეშე. სამინისტრო მხოლოდ ვალდებულია, გამოაქვეყნოს ეს გადაწყვეტილება, მიღებიდან 3 დღის ვადაში, თავის ვებგვერდზე.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, ასევე, უშვებს **გაცემული გადაწყვეტილებების გაერთიანების შესაძლებლობას**. ეს დასაშვებია მაშინ, თუ საქმიანობები ტექნიკურად ან/და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია. ამ შემთხვევაშიც, სამინისტრო გადაწყვეტილებას საზოგადოების მონაწილეობის გარეშე.

- **გადაწყვეტილების პირობების ცვლილება**

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი (მე-5 მუხლის მე-7-მე-11 პუნქტები) უშვებს, სამივე ეტაპის უკვე მიღებულ გადაწყვეტილებებში (სკრინინგის, სკოპინგის და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებებში) ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას. კოდექსის ნაკლოვანებაა ის, რომ ასეთი გადაწყვეტილებები მიიღება არა საჯარო, არამედ მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით - საზოგადოების მონაწილეობის გარეშე. ეს, სხვა სიტყვებით, ნიშნავს, რომ საზოგადოების მონაწილეობით მიღებული გადაწყვეტილებები, ნებისმიერ დროს, შეიძლება შეიცვალოს ისე, რომ საზოგადოება ვერც კი შეიტყობს ამის შესახებ. საზოგადოებას შეეძლება, მხოლოდ, გაეცნოს უკვე მიღებულ გადაწყვეტილებას.

უკვე მიღებულ გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის სამგვარი შესაძლებლობა არსებობს:

1. სახელმწიფო უფლებამოსილი ორგანოს მიერ ინსპექტირების საფუძველზე დადგინდა, რომ: (ა) საქმიანობის განხორციელების ადგილზე არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება გზმ ანგარიშში ასახულ გარემოებებს; ან/და (ბ) გზმ ანგარიშით სრულყოფილად არ შეფასდა გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე საქმიანობის უარყოფითი ზემოქმედება;
2. გადაწყვეტილებით, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებული იყო ჩაეტარებინა გარემოს ცალკეული კომპონენტების დამატებითი შესწავლა და ამ შესწავლის შედეგების საფუძველზე, სამინისტრომ დაადგინა პირობის შეცვლის აუცილებლობა;
3. საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა დაასაბუთოს, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დაწესებული პირობის შესრულება ვერ უზრუნველყოფს გარემოზე ზემოქმედების თავიდან აცილებას ან შემცირებას; ან/და პირობის სხვა პირობით შეცვლა აუცილებელი და ეფექტიანია გარემოზე ზემოქმედების თავიდან აცილების ან შემცირების თვალსაზრისით.

ზემოთ ჩამოთვლილი სამი შემთხვევიდან პირველი ორის ინიციატორი შეიძლება იყოს მხოლოდ სამინისტრო, მესამე შემთხვევაში კი, გადაწყვეტილების შეცვლა შესაძლებელია საქმიანობის განმანორციელებელის ინიციატივით.

საზოგადოების მონაწილეობით მიღებული გადაწყვეტილებების საზოგადოების მონაწილეობის გარეშე შეცვლა ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს; კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის მე-2 ნაწილს და „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ ორჰუსის კონვენციის მე-6 მუხლის მე-10 პუნქტს. ამდენად, მოქალაქეს ყოველთვის შეუძლია გაასაჩივროს მიღებულ გადაწყვეტილებებში ზემოთ ჩამოთვლილი გზებით ცვლილებების შეტანის გადაწყვეტილებები, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში და სასამართლოში.

## თავი 6. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

როგორც წინა თავებიდან ჩანს, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ადგენს, რა სახის ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს, როდის და რა გზით საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად; თუმცა, მოქალაქეებს, შესაძლოა, დასჭირდეთ ისეთი საჯარო ინფორმაცია, რომელიც არ ქვეყნდება, მაგრამ ინახება საჯარო დაწესებულებაში (მაგალითად, დავისას სამინისტროსთან ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოსთან). ამ თავში მოცემული ინფორმაცია დაეხმარება მოქალაქეებს, მიიღონ საჯარო ინფორმაცია საჯარო დაწესებულებებიდან.

### • რა არის საჯარო ინფორმაცია?

**საჯარო ინფორმაცია** არის: ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე, საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოებისთვის ან პერსონალური მონაცემებისთვის მიკუთვნებული ინფორმაციისა.

საჯარო ინფორმაციის ნაწილი მოთხოვნის გარეშე უნდა იყოს ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის, ანუ პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს. **პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის** ჩამონათვალი განსაზღვრულია „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს #219 დადგენილებით; ეს არის:

- ზოგადი ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ;
- ე.წ. საჯარო ინფორმაციის გვერდი (მოიცავს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის პროცესთან დაკავშირებულ ინფორმაციას);
- ინფორმაცია საკადრო უზრუნველყოფის შესახებ;
- ინფორმაცია განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების და სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ;
- ინფორმაცია დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ;
- სამართლებრივი აქტები და
- ინფორმაცია სერვისებისა და გადასახდელების შესახებ.

### • რა არის საიდუმლო ინფორმაცია?

საჯარო უწყებაში დაცული ინფორმაცია არ არის სრულად საჯარო. საჯარო უწყებებში, ასევე, დაცულია საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას - ეს ინფორმაცია **საიდუმლოა**.

**პერსონალური მონაცემები** არის ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება. ეს, შეიძლება, იყოს სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ფოტო, ვიდეო ჩანაწერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო ანგარიშის ნომერი, ინფორმაცია სამუშაო ადგილის, შემოსავლების, ოჯახური მდგომარეობის შესახებ და სხვა. პერსონალური მონაცემების ცნება, მათ დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით.

**კომერციული საიდუმლოება** არის ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას. ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით ხდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით. ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვს ნებისმიერ პირს.

ასევე, არ არის საჯარო ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. ასეთ ინფორმაციას **პროფესიული საიდუმლოება** ეწოდება.

**სახელმწიფო საიდუმლოება** არის ქვეყნის თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობათა, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოების, მართლწესრიგის დაცვისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროებში არსებული ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ ან დაკარგვამ შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების მონაწილე მხარის სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს და რომელიც დადგენილი წესით არის გასაიდუმლოებული. ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევისთან, გასაიდუმლოებასთან და დაცვასთან დაკავშირებული სამართლებრივ ურთიერთობები დარეგულირებულია „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით.

საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა შესაძლოა შეიზღუდოს, ასევე, ე.წ. აღმასრულებელი პრივილეგიით, რაც თანამდებობის პირს უფლებას აძლევს არ გაამხილოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილე სხვა საჯარო მოსამსახურეთა (გარდა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისა) ვინაობა.

- **საიდუმლო ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების გამოქვეყნება**

საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის ამოღების შემდეგ, საიდუმლო საჯარო ინფორმაციის გონივრულ ფარგლებში გამოცალკეებადი ნებისმიერი ნაწილი უნდა გამოქვეყნდეს. ასეთ შემთხვევაში, ინფორმაციის გამოქვეყნებისას, უნდა მიეთითოს პირი, რომელმაც გაასაიდუმლოვა ინფორმაცია, ასევე, ინფორმაციის საიდუმლოდ მიჩნევის საფუძველი და გასაიდუმლოების ვადა.

- **ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილია **ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია**. კოდექსის თანახმად, ყველას აქვს უფლება იცოდეს:

- (ა) ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;
- (ბ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები;
- (გ) საჯარო დაწესებულების სტრუქტურის აღწერა, მოსამსახურეთა ფუნქციების განსაზღვრისა და განაწილების, აგრეთვე გადაწყვეტილებათა მიღების წესი;
- (დ) საჯარო დაწესებულების იმ სახელმწიფო და საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომელთაც უკავიათ თანამდებობა ან ევალუბათ საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება ან საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება;
- (ე) კოლეგიურ საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მისაღებად გამართული ღია კენჭისყრის შედეგები;
- (ვ) არჩევით თანამდებობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია;
- (ზ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები, აგრეთვე სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომელშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს;
- (თ) საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზის სახელწოდება და ადგილსამყოფელი, აგრეთვე საჯარო მონაცემთა ბაზისათვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი;
- (ი) საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების მიზნები, გამოყენების სფეროები და სამართლებრივი საფუძველი;
- (კ) საჯარო მონაცემთა ბაზაში მისი პერსონალური მონაცემების არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე მათი გაცნობის წესი, მათ შორის, იმ პროცედურისა, რომლითაც მოხდება პირის იდენტიფიკაცია, თუ პირმა (მისმა წარმომადგენელმა) შეიტანა მოთხოვნა თავის შესახებ მონაცემების გაცნობის ან მათში ცვლილების თაობაზე;
- (ლ) იმ პირთა კატეგორია, რომელთაც კანონით უფლება აქვთ გაეცნონ საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს;
- (მ) საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა შემადგენლობა, წყაროები და იმ პირთა კატეგორია, რომელთა შესახებ გროვდება, მუშავდება და ინახება ინფორმაცია;
- (ნ) ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებად ან არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს.

### საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ყველა საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი ხელმისაწვდომია საჯარო უწყებების ე.წ. „საჯარო ინფორმაციის გვერდზე“.

## საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის უფლება აქვს ყველას. ინფორმაციის მოთხოვნს უფლება აქვს, აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, ან სულაც გაეცნოს ინფორმაციას დედანში. საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა. დაუშვებელია საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის რაიმე სახის საფასური დაწესება, გარდა ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებისა.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა წერილობითი განცხადების საფუძველზე ხდება. განცხადებაში არ არის აუცილებელი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივის ან მიზნის მითითება. განცხადება შესაძლებელია წარდგენილ იქნეს საჯარო უწყების კანცელარიაში (კანცელარია გასცემს განცხადების ჩაბარების დამადასტურებელ ბარათს), ან გაიგზავნოს საფოსტო გზავნილის მეშვეობით (ასეთ შემთხვევაში, უმჯობესია ადრესატისათვის ჩაბარების შეტყობინების მოთხოვნა). საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა, ასევე, შესაძლებელია **ელექტრონული ფორმით** ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ან საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდზე არსებული სპეციალური ფანჯრის გამოყენების გზით.

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის რეგისტრაცია და ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნის რეგისტრაციის ავტომატური დადასტურების სისტემის არსებობა.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადების მომზადებისას, როგორც მატერიალური სახით, ისე ელექტრონული ფორმით წარდგენილი განცხადება, უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავთ;
- განმცხადებლის ვინაობას, საკონტაქტო ტელეფონის ნომერსა და მისამართს;
- მოთხოვნას;
- განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

ასევე, სასურველია მიეთითოს, თუ როგორ, რა ფორმით სურს განმცხადებელს საჯარო ინფორმაციის მიღება - ელექტრონული ფოსტის საშუალებით, კომპაქტურ დისკზე ჩაწერილი, მატერიალური სახით თუ დედანში გაცნობა.

განცხადების მატერიალური ფორმით წარდგენისას მნიშვნელოვანია განცხადება იყოს **დათარიღებული და განმცხადებლის მიერ ხელმოწერილი**. განცხადების ელექტრონული სახით გაგზავნისას დათარიღება ავტომატურად ხდება, ხოლო **ხელმოწერა არ არის საჭირო**. ხელმოწერის ნაცვლად აუცილებელია პირადი ნომრის მითითება თუკი განმცხადებელი მოქალაქეა; ხოლო თუ განცხადების ავტორი ორგანიზაციაა, სავალდებულოა ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდის და საკონტაქტო ინფორმაციის მითითება.

განცხადების ელექტრონული ფორმით გაგზავნამდე უნდა გადამოწმდეს ადრესატი უწყების „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი“, რომელიც ამავე უწყების ვებ-გვერდზე ე.წ. „საჯარო ინფორმაციის გვერდის“ განყოფილებაშია მოცემული.

## საჯარო ინფორმაციის გაცემა

საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია **დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა**. ვადის ათვლა დაიწყება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინფორმაციის მატერიალური ან ელექტრონულად **მოთხოვნის რეგისტრაციიდან მომდევნო სამუშაო დღეს**.

თუ საჯარო ინფორმაციის გაცემა ვერ ხდება დაუყოვნებლივ და გაცემისათვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს.

თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს: (ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას; (ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას; (გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას. ასეთ შემთხვევაში, საჯარო უწყებამ უნდა აცნობოს განმცხადებელს გასაცემი ინფორმაციის მოგროვებისათვის საჭირო დამატებითი ვადის შესახებ.

- **საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი**

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი განმცხადებელს უნდა ეცნობოს **დაუყოვნებლივ**. ასეთ შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში განცხადების ავტორს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და უარის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი, ასევე, მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.

თუკი ინფორმაციის გაცემა არ ხდება განცხადების რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში, ან გამონაკლის შემთხვევაში, საჯარო უწყების მიერ ინფორმაციის მოგროვებისთვის მოთხოვნილ ვადაში - უწყების უმოქმედობა განიხილება როგორც **საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი**.

ყველა აქვს უფლება გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ (როგორც წერილობითი უარი, ისე საჯარო უწყების უმოქმედობა). ადმინისტრაციული საჩივრის ფორმები/ნიმუშები და ინფორმაცია გასაჩივრების ზოგადი წესის შესახებ განთავსებულია საჯარო უწყებების ე.წ. „საჯარო ინფორმაციის გვერდზე“. გასათვალისწინებელია, რომ დავისას მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხე საჯარო დაწესებულებას, სახელმწიფო მოსამსახურეს ან საჯარო მოსამსახურეს.

## დახმარების მიღება

ჩვენი ორგანიზაცია - მწვანე ალტერნატივა - თითქმის 20 წელია აკვირდება და აანალიზებს საქართველოში გზმ-ს სფეროში მოქმედ კანონმდებლობას და პრაქტიკას. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს გზმ-ს სფეროში მოქმედი კანონმდებლობის პრაქტიკაში გამოყენების ხანგრძლივი გამოცდილება: ჩვენ წლებია ვმონაწილეობთ გარემოსა და ადამიანთა ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი მავნე ზემოქმედების მქონე პროექტების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში; ასევე, შევდივართ დავაში საჯარო დაწესებულებებთან, თუ ვფიქრობთ, რომ არასწორი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული, ან დარღვეული იყო მათი მიღების წესები.

დაინტერესებულ მოქალაქეებს, შესაძლოა, გამოადგეთ ჩვენი ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა დროს სადავო პროექტებზე საჯარო უწყებებისთვის წარდგენილი შენიშვნები და კომენტარები; ასევე, დოკუმენტები ადმინისტრაციული თუ სასამართლო დავებიდან.

მწვანე ალტერნატივას მიერ სხვადასხვა პროექტზე წარდგენილი შენიშვნები და კომენტარები განთავსებულია ორგანიზაციის ვებგვერდზე [greenalt.org](http://greenalt.org), სექცია „პუბლიკაციების“ ქვე-სექციაში „შენიშვნები / კომენტარები“. აქვე, საწყის გვერდზე, მოცემულია სექცია „დავები / საჩივრები“, სადაც ცალკე ქვე-სექცია აქვს დათმობილი ადმინისტრაციულ დავებს და ცალკე - სასამართლო დავებს.

კანონმდებლობასთან დაკავშირებული კითხვების, ან ამა თუ იმ დაგეგმილი პროექტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებით სირთულეების არსებობის შემთხვევაში, მოქალაქეებს შეუძლიათ, ასევე, მიიღონ დახმარება ჩვენი ორგანიზაციის თანამშრომლებისგან. ჩვენი საკონტაქტო დეტალებია:

### მწვანე ალტერნატივა

მისამართი: 0179 თბილისი, ფალიაშვილის ქ. #39ბ, მე-4 სართული  
ელექტრონული ფოსტა: [greenalt@greenalt.org](mailto:greenalt@greenalt.org), [greenaltorg@gmail.com](mailto:greenaltorg@gmail.com)

ვებ-გვერდი: [greenalt.org](http://greenalt.org)

ტელ: +995 32 222 38 74

## დანართები

### დანართი 1. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დანართები

#### გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობები

- 1.1. ნედლი ნავთობის (გარდა საზეთ-საპოხი მასალისა) გადამუშავება;
- 1.2. დღე-ღამეში 500 ტონა ან მეტი ქვანახშირის ან ბიტუმოვანი ფიქლის გათხიერება ან/და გაზიფიცირება.
2. 10 მეგავატი ან მეტი სიმძლავრის თბოელექტროსადგურის ან/და წვის სხვა დანადგარის მშენებლობა და ექსპლუატაცია.
3. ატომური ელექტროსადგურის ან სხვა ბირთვული რეაქტორის განთავსება, მისი დემონტაჟისა და დეკომისიის ჩათვლით, გარდა იმ კვლევითი დანადგარისა, რომელიც გამოიყენება დამლადი მასალების, ბირთვული საწვავის წარმოებისა და გარდაქმნისათვის, რომლის მაქსიმალური სიმძლავრე 1 კილოვატ უწყვეტ სითბურ დატვირთვას არ აღემატება.
4. ისეთ საქმიანობასთან დაკავშირებული დანადგარი, რომლის დანიშნულებაა:
  - 4.1. ბირთვული საწვავის წარმოება ან/და გამდიდრება;
  - 4.2. დასხივებული ბირთვული საწვავის ან მაღალი აქტივობის მქონე რადიოაქტიური ნარჩენების გადამუშავება;
  - 4.3. დასხივებული ბირთვული საწვავის საბოლოო განთავსება სამარხში;
  - 4.4. დასხივებული ბირთვული საწვავის ან რადიოაქტიური ნარჩენების საწარმოო ტერიტორიის გარეთ შენახვა, თუ დაგეგმილია მათი 3 წელზე მეტი ვადით შენახვა;
  - 4.5. რადიოაქტიური ნარჩენების საბოლოო განთავსება სამარხში.
5. თუჯის, ფოლადის ან/და ფეროშენადნობების წარმოება, პირველადი ან/და მეორეული დნობის ჩათვლით.
6. მეტალურგიული, ქიმიური ან ელექტროქიმიური პროცესების მეშვეობით მადნიდან, კონცენტრატებიდან ან მეორეული ნედლეულიდან ფერადი ლითონების წარმოება, გარდა საიუველირო წარმოებისა.
7. აზბესტის ამოღება, აზბესტისა და აზბესტმეცველი პროდუქციის დამუშავება ან/და გარდაქმნა: წელიწადში 20 000 ტონაზე მეტი აზბესტ-ცემენტის პროდუქციის წარმოება; წელიწადში 50 ტონაზე მეტი ფრიქციული მასალის წარმოება; წელიწადში 200 ტონაზე მეტი აზბესტის სხვაგვარად გამოყენება.
8. ქიმიური მრეწველობა:
  - 8.1. ძირითადი ორგანული ნაერთების წარმოება;
  - 8.2. ძირითადი არაორგანული ნაერთების წარმოება;
  - 8.3. ფოსფოროვანი, აზოტოვანი ან/და კალიუმოვანი სასუქების მარტივი ან/და რთული წარმოება;
  - 8.4. მცენარეთა დაცვის საშუალებების ან/და ბიოციდების წარმოება;
  - 8.5. ქიმიური ან/და ბიოლოგიური პროცესის მეშვეობით ფარმაცევტული საშუალებების წარმოება;
  - 8.6. ასაფეთქებელი მასალის წარმოება.
9. მაგისტრალური მიწისზედა ან/და მიწისქვეშა სარკინიგზო ხაზის მშენებლობა და ექსპლუატაცია.
10. აეროპორტის მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომლის ძირითადი ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის სიგრძე 1600 მეტრი ან მეტია.
11. საერთაშორისო ან შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მშენებლობა.
12. საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია ან/და მოდერნიზაცია, რომლის მთლიანი მონაკვეთის სიგრძე 5 კილომეტრი ან მეტია.
13. საერთაშორისო ან შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე განთავსებული გვირაბის ან/და ხიდის მშენებლობა.
14. შიდასამდინარო გზის ან პორტის მშენებლობა, სადაც ხომალდის ტვირთამწეობა 1350 ტონაზე მეტია.

15. საზღვაო პორტის, ხმელეთთან და სხვა პორტთან დაკავშირებული სატვირთო მისადგომის (გარდა საბორნე მისადგომისა) მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომელსაც შეუძლია მიიღოს 1350 ტონაზე მეტი წყალწყვის ხომალდი.
16. სახიფათო ნარჩენების განთავსება, ინსინერაცია ან/და ქიმიური დამუშავება.
17. დღე-ღამეში 100 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენის განთავსება, ინსინერაცია ან/და ქიმიური დამუშავება.
18. მიწისქვეშა წყლის ამოტუმბვის ან მიწისქვეშა წყლის ხელოვნური შევსების სამუშაოების წარმოება, როდესაც ამოსატუმბავი და ჩასატუმბავი წყლის მოცულობა წელიწადში 10 მილიონი მ3 ან მეტია.
19. წყლის მდინარის აუზებს შორის გადაადგება (გარდა სასმელი წყლის მიღებით გადატანისა):
  - 19.1. როდესაც წყლის გადაადგება წყლის ნაკლებობის თავიდან ასაცილებლად ხორციელდება და გადაადგებული წყლის მოცულობა წელიწადში 20 მილიონ მ3-ზე მეტია;
  - 19.2. ყველა სხვა შემთხვევაში, როდესაც იმ მდინარის საშუალო მრავალწლიური ჩამონადენი, რომლიდანაც წყალი გადანაწილდება, წელიწადში 2 000 მილიონ მ3-ზე მეტია და გადატანილი წყლის ხარჯი მდინარის მრავალწლიური მინიმალური ხარჯის 5%-ს აღემატება.
20. ურბანული ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა 50 000-იანი ან მეტი მოსახლეობისათვის, შესაბამისი წარმადობით.
21. კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომელიც წყლის შესაკავებლად ან მუდმივად დასაგროვებლად გამოიყენება და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 50 000 მ3-ზე მეტია.
22. 5 მეგავატი ან მეტი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ან/და ექსპლუატაცია.
23. 800 მილიმეტრი ან მეტი დიამეტრის და 40 კილომეტრზე მეტი სიგრძის მილსადენის მშენებლობა და ექსპლუატაცია ნავთობის, გაზის ან ქიმიური ნაერთების ტრანსპორტირებისათვის, აგრეთვე გეოლოგიური დასაწყობების მიზნით ნახშირბადის დიოქსიდის (CO<sub>2</sub>) ტრანსპორტირებისათვის.
24. მეფრინველეობის ფერმა (85 000-ზე მეტი სადგომით წიწილებისათვის ან/და 60 000-ზე მეტი სადგომით ქათმებისათვის) ან/და მეღორეობის ფერმა (10 000-ზე მეტი სადგომით გოჭებისათვის (30 კილოგრამზე ნაკლები) ან/და 6000-ზე მეტი სადგომით ღორებისათვის (30 კილოგრამზე მეტი)).
25. მერქნისგან ან მსგავსი ბოჭკოვანი მასალისგან ცელულოზის წარმოება, დღე-ღამეში 200 ტონაზე მეტი ქაღალდის ან/და მუყაოს წარმოება.
26. წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 25 ჰექტარზე მეტია.
27. ტორფის მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 150 ჰექტარზე მეტია.
28. 220 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, რომლის სიგრძე 15 კილომეტრზე მეტია.
29. 1 000 მ3 ან მეტი ჯამური მოცულობის წიაღისეული საწვავის ან/და ქიმიური პროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია.
30. ნახშირბადის დიოქსიდის (CO<sub>2</sub>) გეოლოგიური დასაწყობება.
31. წელიწადში 1.5 მეგატონა ან მეტი ნახშირბადის დიოქსიდის (CO<sub>2</sub>) მოპოვება.

**გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობები**

1. სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და აკვაკულტურა:
  - 1.1. 10 ჰექტარი ან მეტი ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება;
  - 1.2. 10 ჰექტარი ან მეტი ფართობის ყამირი მიწების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება;
  - 1.3. სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია;

- 1.4. 500 ჰექტარი ან მეტი ფართობის ტყის გაშენება ან/და 50 ჰექტარი ან მეტი ფართობის ტყის გაჩეხა სხვა კატეგორიის მიწად გარდაქმნისა და გამოყენების მიზნით;
- 1.5. 500 ან მეტი მსხვილფეხა შინაური პირუტყვისათვის განკუთვნილი სადგომის მშენებლობა;
- 1.6. წელიწადში 40 ტონაზე მეტი წარმადობის თევზსაშენი მეურნეობის მოწყობა;
- 1.7. ზღვის ფართობის ათვისება (ხელოვნური კუნძულის, ნახევარკუნძულის და ა. შ. შექმნა).

2. მოპოვებითი მრეწველობა და ბურღვითი სამუშაოები:

- 2.1. ტორფის ან მყარი სასარგებლო წიაღისეულის (გარდა ქვიშა-ხრეშისა) ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 10 ჰექტარზე მეტია;
- 2.2. სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მოპოვება (მათ შორის, მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება), როდესაც მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა წელიწადში 100 000 მ3-ზე მეტია (გარდა ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვებისა ან მიწისქვეშა წყლის პირადი მოხმარების მიზნით გამოყენებისა);
- 2.3. სასარგებლო წიაღისეულის ზღვიდან მოპოვება;
- 2.4. ბურღვითი სამუშაოები თერმული (თბოენერგეტიკული დანიშნულების) წყლის მოპოვების მიზნით;
- 2.5. ბურღვითი სამუშაოები რადიოაქტიური ნარჩენების შენახვის მიზნით;
- 2.6. ბურღვითი სამუშაოები მიწისზედა საწარმოო ნაგებობის გამოყენებით ნახშირის, მადნის ან ბიტუმოვანი ფიქლის მოპოვების მიზნით.

3. ენერჯის წარმოება:

- 3.1. წვის დანადგარი 2 მეგავატი ან მეტი სიმძლავრის ელექტროენერჯის წარმოებისათვის;
- 3.2. საწარმოო დანადგარი ორთქლისა და ცხელი წყლის წარმოებისათვის (გარდა ნავთობისა და გაზის ოპერაციებთან დაკავშირებული ორთქლისა და ცხელი წყლის დანადგარისა), როდესაც განაშენიანების ფართობი 0.5 ჰექტარზე მეტია, ხოლო მათი გამომუშავება 50 მეგავატს აღემატება;
- 3.3. 5 კილომეტრი ან მეტი სიგრძის მილსადენის განთავსება გაზის, ორთქლისა და ცხელი წყლის გატარებისათვის;
- 3.4. 35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, 110 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის ქვესადგურის განთავსება;
- 3.5. 100 მ3 ან მეტი მოცულობის წიაღისეული საწვავის, თხევადი ან/და ბუნებრივი აირის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია;
- 3.6. ნახშირის ან/და ლიგნიტის ბრიკეტირება;
- 3.7. რადიოაქტიური ნარჩენების დამუშავება ან/და შენახვა;
- 3.8. 2 მეგავატიდან 5 მეგავატამდე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია;
- 3.9. დანადგარი ქარის ან/და ზღვის ტალღების ენერჯის მეშვეობით ელექტროენერჯის წარმოებისათვის.

4. ლითონების წარმოება და დამუშავება:

- 4.1. თუჯის ან ფოლადის დნობა პროდუქციის წარმოების მიზნით;
- 4.2. შავი ლითონის დამუშავება: ლითონის ცხლად დამუშავება, სამჭედლო გრდემლით, დამცავი ლითონის ფენით დაფარვა წელიწადში 50 ტონა ან მეტი წარმადობით;
- 4.3. ფერადი ლითონის (გარდა ძვირფასი ლითონისა) დნობა წელიწადში 20 ტონა ან მეტი წარმადობით;
- 4.4. ელექტროლიტური ან ქიმიური პროცესის გამოყენებით 10 მ3 ან მეტი მოცულობის ავზში ლითონის ან/და პლასტიკური მასალის ზედაპირული წმენდა;
- 4.5. მანქანათმშენებლობა (ძრავიანი სატრანსპორტო საშუალების აწყობა) და სატრანსპორტო საშუალების ძრავის წარმოება;
- 4.6. გემთმშენებლობა;
- 4.7. საჰაერო ხომალდის მშენებლობა;
- 4.8. ლითონის ასაფეთქებელი ნივთიერებებით გამოწნევა;

4.9. ლითონშემცველი მადნის გამოწვა და აგლომერირება.

5. მინერალური ნედლეულის გადამუშავება:

5.1. სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება;

5.2. ქვანახშირის დაკოქსვა;

5.3. ასფალტის წარმოება;

5.4. ცემენტის, კირის, გაჯის ან/და თაბაშირის წარმოება;

5.5. აზბესტის ან/და აზბესტშემცველი პროდუქციის წარმოება;

5.6. მინის ან/და მინის პროდუქციის (მათ შორის, მინის ბოჭკოს) წარმოება;

5.7. კერამიკული თიხის წარმოება (გარდა ტრადიციული წესით საოჯახო მეურნეობაში წარმოებისა), კერამიკული პროდუქციის (კერძოდ, კრამიტის, აგურის, ცეცხლგამძლე აგურის, ფილის ან ფაიფურის) წარმოება.

6. ქიმიური წარმოება:

6.1. შუალედური პროდუქტის ქიმიური დამუშავებით ქიმიური ნივთიერების წარმოება;

6.2. ფარმაცევტული პროდუქტების, საღებავების, ლაქების, პეროქსიდის, ელასტომერის ან/და პლასტიკური მასალის წარმოება;

6.3. ნავთობისა და ნავთობპროდუქტის, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია.

7. სურსათის წარმოება:

7.1. წელიწადში 25 000 ტონა ან მეტი მცენარეული ან/და ცხოველური ცხიმის წარმოება;

7.2. ცხოველური ან/და მცენარეული პროდუქტის დაკონსერვება წელიწადში 25 000 ტონა ან მეტი პროდუქციის წარმოების მიზნით;

7.3. დღე-ღამეში 20 ტონაზე მეტი რძის პროდუქტის წარმოება;

7.4. დღე-ღამეში 100 ტონაზე მეტი ლუდისა და ალაოს წარმოება;

7.5. დღე-ღამეში 3 ტონაზე მეტი საკონდიტრო პროდუქციის წარმოება;

7.6. ცხოველთა სასაკლაოს მოწყობა და ექსპლუატაცია, სადაც დღე-ღამეში 30 ან მეტი ცხოველი იკვლება;

7.7. წელიწადში 5 000 ტონა ან მეტი სახამებლის სამრეწველო წარმოება;

7.8. წელიწადში 5 000 ტონაზე მეტი თევზის გადამუშავება;

7.9. დღე-ღამეში 25 ტონა ან მეტი შაქრის წარმოება.

8. ტექსტილის, ტყავის, ქაღალდის წარმოება:

8.1. დღე-ღამეში 10 ტონა ან მეტი ქაღალდის ან/და მუყაოს წარმოება;

8.2. დღე-ღამეში 1 ტონაზე მეტი ტექსტილის ან/და საფეიქრო ბოჭკოს წინასწარი დამუშავება (რეცხვა, გახამება, მერსერიზაცია) ან/და ღებვა;

8.3. ტყავის თრიმლვა/დამუშავება;

8.4. ცელულოზის დამუშავება.

9. ინფრასტრუქტურული პროექტები:

9.1. 10 ჰექტარზე მეტ ფართობზე სამრეწველო საწარმოთა კომპლექსის განთავსება;

9.2. 10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტი (მათ შორის, სავაჭრო ცენტრისა და 1 000 ავტომობილის ტევადობის ავტოპარკის მოწყობა);

9.3. საკონტინერო ტერმინალისა და მასთან დაკავშირებული სარკინიგზო ხაზის მშენებლობა და ექსპლუატაცია;

9.4. აეროდრომის მშენებლობა;

9.5. საზღვაო ნავსადგურისა და მასთან დაკავშირებული შენობა-ნაგებობის მშენებლობა, რომლის საპროექტო განაშენიანების ფართობი 1 ჰექტარზე მეტია;

9.6. 2 კილომეტრი ან მეტი სიგრძის საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, საკანალიზაციო სისტემის 5 ჰექტარზე ან მეტი განაშენიანების მქონე ფართობზე მოწყობა;

9.7. შიდასამდინარო გზის მოწყობა;

9.8. წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო სამუშაოები;

9.9. კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის/მოწყობილობის მშენებლობა, რომლის მშენებლობა მიზანშეწონილია წყლის შეკავების ან წყლის გრძელვადიანი დაგროვების მიზნით და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 10 000 მ<sup>3</sup>-ზე მეტია;

9.10. მგზავრების ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი ტრამვაის ან/და საბაგირო ხაზის მშენებლობა;

9.11. 5 კილომეტრზე მეტი სიგრძის მილსადენის გაყვანა ნავთობის, გაზის ან ნახშირბადის დიოქსიდის (CO<sub>2</sub>) ტრანსპორტირების მიზნით;

9.12. 1 ჰექტარზე ან მეტ ფართობზე 5 კილომეტრი ან მეტი სიგრძის წყალსატარი აკვედუკის განთავსება;

9.13. ნაპირდაცვითი და სანაპირო ზოლის ეროზიის შესაკავებლად ან/და სანაპირო ზოლის აღდგენის მიზნით გათვალისწინებული სამუშაოები, აგრეთვე საზღვაო სამუშაოები, რომლებიც შეიძლება სანაპიროს შეცვლა მშენებლობის მეშვეობით (კერძოდ, დამბის, ჯებირის, მიწაყრილის განთავსება და ზღვისგან დაცვის სხვა სამუშაოები), გარდა მათი სარეკონსტრუქციო სამუშაოებისა.

#### 10. სხვა პროექტები:

10.1. 15 ჰექტარი ან მეტი ფართობის მქონე ტერიტორიაზე ავტომობილის მუდმივი სარბოლო და საცდელი გზების მოწყობა;

10.2. ნარჩენების განთავსება;

10.3. ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა;

10.4. სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება;

10.5. 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა;

10.6. ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია;

10.7. შლამსაცავის მოწყობა და ექსპლუატაცია;

10.8. ფეთქებადი ნივთიერებების აღდგენა ან განადგურება.

#### 11. ტურიზმი და დასვენება:

11.1. 5 ჰექტარზე ან მეტ ფართობზე სამთო-სათხილამურო ან/და საბაგირო ტრასის მოწყობა;

11.2. ქალაქგარეთ 10 ჰექტარზე მეტ ფართობზე დასასვენებელი კომპლექსური დასახლების (მათ შორის, სასტუმროსა და მასთან დაკავშირებული ნაგებობის) მშენებლობა;

11.3. 5 ჰექტარზე ან მეტ ფართობზე მუდმივი საბანაკო და საქარავნო ადგილების მოწყობა;

11.4. 10 ჰექტარზე ან მეტ ფართობზე გასართობი პარკის (მათ შორის, ატრაქციონების პარკის) გაშენება.

შენიშვნა: ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული ერთი და იმავე შინაარსის საქმიანობები, რომელთათვისაც დაწესებულია განსხვავებული ზღვრები, I დანართის შემთხვევაში ექვემდებარება გზმ-ის პროცედურას, ხოლო II დანართის შემთხვევაში – სკრინინგის პროცედურას (გარდა ამ კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა).

## დანართი 2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შინაარსი

### გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი მუხლი 10. გზმ-ის ანგარიში

1. სამინისტროს მიერ სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შემდეგ საქმიანობის განმახორციელებელი ან/და კონსულტანტი უზრუნველყოფს გზმ-ის ანგარიშის მომზადებას. გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო ხარჯებს საქმიანობის განმახორციელებელი ანაზღაურებს.

2. გზმ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. გზმ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს:

ა) დაგეგმილი საქმიანობის აღწერას, კერძოდ:

ა.ა) საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერას, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), აგრეთვე დაგეგმილი საქმიანობისთვის გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერას;

ა.ბ) ინფორმაციას მიწის კატეგორიისა და მიწათსარგებლობის ფორმის შესახებ, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე;

ა.გ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების (სიმძლავრე, მასშტაბი და საწარმოო პროცესი, მათ შორის, შესაძლო საწარმოებელი პროდუქციის ოდენობა, მოთხოვნილი ენერჯია, წარმოებისას გამოსაყენებელი მასალა და ბუნებრივი რესურსები და სხვა) შესახებ;

ა.დ) ინფორმაციას სადემონტაჟო სამუშაოებისა და მეთოდების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში);

ა.ე) ინფორმაციას მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე შესაძლო უარყოფითი შედეგების და ემისიების (როგორებიცაა წყლის, ჰაერის, მიწის და წიაღისეულის დაბინძურება, ხმაური, ვიბრაცია, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, სითბური გამოსხივება, რადიაცია) შესახებ;

ა.ვ) ინფორმაციას იმ ნარჩენების სახეების, მახასიათებლებისა და რაოდენობის შესახებ, რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნას მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ნარჩენების მართვის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ დამატებით ინფორმაციას;

ბ) ინფორმაციას გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ, რომელიც გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით;

გ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას გარემოზე შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესახებ, მათ შორის, მოსახლეობაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, ბიომრავალფეროვნებაზე (მათ შორის, მცენარეთა და ცხოველთა სახეობები, ჰაბიტატები, ეკოსისტემები), წყალზე (მათ შორის, ჰიდრომორფოლოგიური ცვლილებები, რაოდენობა, ხარისხი), ჰაერზე, ნიადაგზე (მათ შორის, ნიადაგის მოხსნა), მიწაზე (მათ შორის, ორგანული ნივთიერებები, ეროზია, დატკეპნა, დეგრადაცია), კლიმატზე (მათ შორის, სათბურის გაზების ემისია), ლანდშაფტზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე (მათ შორის, არქიტექტურული და არქეოლოგიური ასპექტები) და მატერიალურ ფასეულობებზე ზემოქმედების შესახებ;

დ) ინფორმაციას ამ ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კომპონენტებსა და მათ ურთიერთქმედებაზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი, კუმულაციური, ტრანსსასაზღვრო, მოკლევადიანი და გრძელვადიანი, პოზიტიური და ნეგატიური ზემოქმედების შესახებ, რომელიც გამოწვეულია:

და.ა) დაგეგმილი საქმიანობისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოებით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, სადემონტაჟო სამუშაოებით;

და.ბ) ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენებით, ამ რესურსების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით;

დ.გ) გარემოს დამაბინძურებელი ფაქტორების ემისიით, ხმაურით, ვიბრაციით, რადიაციით, ნარჩენების განთავსებითა და აღდგენით;

დ.დ) გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე ან კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების რისკებით (მაგალითად, ავარიის ან კატასტროფის შემთხვევაში);

დ.ე) სხვა, არსებულ საქმიანობასთან ან დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედებით;

დ.ვ) საქმიანობის კლიმატზე ზემოქმედებით და კლიმატის ცვლილებით განპირობებული საქმიანობის მოწყვლადობით;

დ.ზ) გამოყენებული ტექნოლოგიით, მასალით ან/და ნივთიერებით;

ე) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად შესაძლო ინციდენტების განსაზღვრისა და მათი შედეგების შეფასების შესახებ, მათ შორის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების სამოქმედო გეგმას;

ვ) სამოქმედო გეგმას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების შედეგების, მათი თავიდან აცილების, შემცირების, შერბილებისა და კომპენსაციის ღონისძიებათა შესახებ. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს როგორც საქმიანობის განხორციელების, ისე შემდგომი ექსპლუატაციის ეტაპებს;

ზ) გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასებას და მისი აუცილებლობის დასაბუთებას, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;

თ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ამ საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს მდგომარეობის აღდგენის საშუალებების შესახებ;

ი) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერას, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკის მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;

კ) სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასებას;

ლ) ინფორმაციას კვლევების მეთოდოლოგიის და გარემოს შესახებ ინფორმაციის წყაროების თაობაზე;

მ) ამ ნაწილის „ა“-„ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოკლე არატექნიკურ რეზიუმეს, საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

4. გზმ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი საბადაოს დამუშავების გეგმა (მათ შორის, რეკულტივაციის პროექტი), საჭიროების შემთხვევაში;

ბ) ინფორმაცია იმ კონსულტანტის დასახელებისა და იურიდიული მისამართის შესახებ, რომელიც მონაწილეობდა გზმ-ის ანგარიშის მომზადებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);


გ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის გენერალური გეგმა, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), რომელშიც აღნიშნულია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი, დროებითი ნაგებობები და კომუნალური სისტემები;

დ) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისთვის – საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, ფიზიკური პირისთვის – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლი;

ე) ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობით გათვალისწინებული მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი გამონამუშევრის განთავსების ტერიტორიის (სანაყარო) ალტერნატივების შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით, აგრეთვე ინფორმაცია აღნიშნული გამონამუშევრის განთავსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შენიშვნა: თუ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობა იმავდროულად საჭიროებს სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობას, ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად, საქმიანობის განმასხვრცილებელი უფლებამოსილია გზმ-ის ანგარიშს დაურთოს სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები.

5. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დოკუმენტები სამინისტროს წარუდგინოს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით.
6. გზმ-ის ანგარიშში ასახული ინფორმაცია საჯაროა. თუ გზმ-ის ანგარიში შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან/და პერსონალურ მონაცემს, საქმიანობის განმახორციელებელმა შესაბამის განცხადებაში უნდა მიუთითოს აღნიშნული ინფორმაციის დასაიდუმლოების შესახებ. სამინისტრო ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში და დადგენილი წესით უზრუნველყოს ამ ინფორმაციის დასაიდუმლოება.
7. გზმ-ის ანგარიშის მომზადებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადების შესახებ“.



HEINRICH BÖLL STIFTUNG  
თბილისი  
სამხრეთ კავკასია



მეპანა  
აღწერნაწივა